

4

1968

Մ

+

ՊԵՆՏԱՆԻՆ

ՆՈՒՆԻՆ

ՄԻՋԵՂԱՆԵՐ



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მთაბაბა

№ 4 (46)

19 თბილისი 68



რედაქტორი — ვრემია ქარელიაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ვგაძე,
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტაი,
ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავე,
დ. ჯანელიძე.

ლილი თარიღების შესახებ

საუბარი საპარტივო სსრ კულტურის მინისტრის პირველ
მოადგილესთან ანხ. ა. ა. ჯვარიშვილთან

— როგორ ემზადებიან საქართველოს თეატრები ჩვეყნის ორი დიდი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის? — ასეთი კითხვით მიმართა „თეატრალური მოამბის“ თანამშრომელმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს აკაკი დავალიშვილს.

— სულ რამდენიმე ხანიც — სთქვა აკ. დავალიშვილმა — და საბჭოთა ხალხი ორ დიდ, ჩვენი ჩვეყნის ცხოვრებაში ფრიალ მნიშვნელოვან თარიღს შეეგებება. — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის იხეთი ისტორიული თარიღებია, რომლებიც ყოველ საბჭოთა ადამიანს ავალბებს, ძალთა მთელი მობილიზაციით ემსახუროს თავის საქმეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს თარიღი ჩვენთვის, ქართული თეატრის მუშაკებისათვის. ჩვენმა თეატრებმა თავიანთ სპექტაკლებში ხაზგასმით უნდა წარმოგვიდგინონ ლენინიზმის იდეების ცხოველყოფილი ძალა, გვიჩვენონ თუ რა მისცა ქართველ ხალხს 1921 წლის 25-მა თებერვალმა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უკვე გადადგა რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი ამ თარიღებისათვის ღირსეულად შესახვედრად. რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში მეტი ადგილი ეთმობა თანამედროვე თემატიკას, — ისეთ პიესებს, რომლებიც მკაფიოდ ასახვენ, საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ვინც კარგად ადევნებს თვალს ჩვენი თეატრების უკანასკნელი პერიოდის მუშაობას, იგი დაინახავდა, რომ მათ გარკვეულ იდეურ-მხატვრულ წარმატებას უკვე მიაღწიეს და ცდილობენ ეს მიღწევები გამარავლონ და განამტკიცონ. ჩვენი თეატრების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული დრამატურგიის წინსვლასთან. სიამოვნებით

უნდა აღინიშნოს რომ, ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, სცენაზე გამოჩნდა თანამედროვე დადებითი გმირის სახე. მაგრამ ამ მხრივ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. დრამატურგთა მუშაობის შემდგომი სტიმულირებისათვის 28 ავტორს გავუფორმეთ ხელშეკრულება. ახლა ეს დრამატურგები სწორენ ახალ პიესებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული თეატრი რამდენიმე კარგ პიესას შეიძენს.

ამ დიად თარიღებთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს დადგენილებით საიუბილეოდ თბილისში ჩატარდება აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრების დეკადები. თეატრები ამ თარიღისათვის ამზადებენ საუკეთესო სპექტაკლებს.

გამოცხადდება რესპუბლიკური კონკურსი საუკეთესო პიესებზე. ეს პიესები უნდა მიეძღვნას საბჭოთა ყოფას, ლენინიზმის იდეების გამარჯვებას ჩვენს ჩვეყანაში, საბჭოთა საქართველოს გამორულ ნახევარსაუკუნოვან გზას.

განზრახულია, რომ საიუბილეო დღეებში მოეწყოს საქართველოს თეატრების საუკეთესო სპექტაკლების დათვალიერება. დათვალიერებისას წარმატებას მოიპოვებენ სწორედ ის სპექტაკლები, რომლებშიც გამოჩნდება თეატრების დინტერესება საბჭოთა თემატიკით. ჩვენი თეატრების ფორიებში მოეწყობა გამოფენები, გამოფენებში თვალნათლივ გამოჩნდება ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების გზა.

ქართული თეატრის ყოველი მუშაკი, გამოჩენილი მოღვაწე იქნება იგი თუ სცენისუჩინარი მეზანქანე, თავის უწმიდნდეს ვალდებულების ღირსეულად შეხვედეს ჩვენი ჩვეყნის ამ სსახელო თარიღებს.

ჩ ვ ე ნ ი ა ნ კ ე ბ ა

„თეატრალური მოამბის“ რედაქციამ ქართველ მეცნიერებს, მწერლებს და თეატრალურ მოღვაწეებს მიმართა შემდეგი კითხვებით:

1. რას გვეტყვით ჩვენი თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე, გასული სეზონის რომელ თეატრის რომელმა დადგამამ მიიქცია თქვენი ყურადღება?
2. თქვენის აზრით რა არსებითი თავისებურება შეინიშნება ჩვენი თეატრის განვითარებაში დღეს?
3. როგორია ეროვნული დრამატურგიის როლი ეროვნული თეატრის განვითარებაში ჯა რა ადგილი უნდა ექიროს ჩვენი თეატრის რეპერტუარში უცხოურ პიესებს?
4. რა აზრისა ხართ პროზაული ნაწარმოების ინსცენირებაზე, რამდენად უწყობს ის ხელს თეატრისა და დრამატურგიის განვითარებას?
5. როგორია, თქვენის აზრით, აქტიური მეთვველების დღევანდელი დონე?
6. რას უსურვებდით ქართულ თეატრს მომავალში?

მიღებულ პასუხებს ურთნალი გამოაქვეყნებს ყოველ ნომერში.

იმ ექვს კითხვიდან, რომლებზეც თქვენ გენბაეთ მიიღოთ პასუხი ჩემგან, ორ პირველზე (1. რომელმა დადგამამ მიიქცია ჩემი ყურადღება და 2. რა არსებითი თავისებურება შეინიშნება ჩვენი თეატრის განვითარებაში დღეს) ვერაფერს გიტყვით. რადგანაც უკვე ორი წელიწადი ვიღარ ვესწრები დადგმებს თეატრებში — ავადმყოფობის გამო. კითხვა ამ მესამე, ბუნებრივია, რომ ეროვნული თეატრისათვის უმჯობესია ეროვნული დრამატურგია, თუ იგი ვარგისია სასცენოდ (იდეურად და მხატვრულად), მაგრამ სუსტი ეროვნულის დადგმას სჯობს კარგი უცხოურისა. მეტიც შეიძლება ითქვას: სანიმუშო უცხოური პიესების დადგმა დროგამომშვეებით იმ შემთხვევაშიც უნდა ხორციელდებოდეს, როცა საკმაოდ გვაქვს ვარგისი ეროვნული (უცხოურში ვგულისხმობ რუსულადან ან სხვა სოციალისტური ხალხების ენებიდან გადმოღებულს. აგრეთვე ე. წ. „უბერბელი“ პიესებს — შექსპირს, მოლიერს, შილერს...).

კითხვა მეოთხე. იგივე ითქმის ინსცენირების შესახებ: თუ კარგი ეროვნული ნაწარმოები ინსცენირდება მაღალ დონეზე,

1. ჩვენი თეატრების დღევანდელი მდგომარეობისათვის მისწრაბს თანამედროვეობის ამსახველი კარგი ქართული პიესა.

„ფსკირზე“ — რუსთავის თეატრში
„მთვარის მოტაცება“ — მარჯანიშვილის თეატრში

2. ძიება.

3. ეროვნულ დრამატურგიას ეროვნულ თეატრში მტკიცედ უნდა ექიროს მასპინძლის როლი, უცხოურს — სასურველი სტუმრის.

4. ვარგისი ნაწარმოებს, ინსცენირების ხარისხს. ინსცენირება ხილად — სასარგებლოა, გადაჭარბებით — საზიანოა.

იგი გვერდში ამოუდგება ეროვნულ დრამატურგიას; მაგრამ, რადგანაც ინსცენირება, როგორც წესი, ვერ აღწევს მაღალ დონეს, იგი არა წასახალისებელი.

კითხვა მეხუთე. სასცენო მეთვველებას დღეს დღეს, როგორც გუშინ აკლია წარმოქმნის მკაფიობა და მსახიობის დიალექტის გავლენა. ეს იგივე ნაკლია, რაც დღეს საერთოდ ახასიათებს ქართულ სალიტერატურო მეთვველებას, საჭიროა რადიკალური ღონისძიება ამ ნაკლია წინააღმდეგ, მეტადრე — მსახიობის ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის ზრუნვის სახით.

კითხვა მეექვსე. ჩემი სურვილია, რომ ქართულ თეატრს გაუმრავლდეს ტალანტები. ვისაც თეატრალური ინსტიტუტა არ გაუვლია. ის არ უნდა შედიოდეს ქართული თეატრის სცენაზე, ხოლო ინსტიტუტში შესვლა უნდა ხდებოდეს დიდი შერჩევით — საერთო განათლების, ნიჭიერებისა და ინტელექტის მაღალი დონის გათვალისწინებით.

8. ახვლედიანი

აკადემიკოსი

5. აზრისა და განცდის გამომსახველობაში სიტყვის მუსიკალობამ, მაყურებელამდე სიტყვის მიტანის ოსტატობამ სასურველ ერთობლივ დონემდე უნდა აიწიოს.

6. იყის ჩვენი ხალხის მისწრაფებათა სიწველით და სიმართლით, სილაშხით და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით გამომსახველი. მაყურებელს უნერგავდეს მოქალაქეობრივ, მაღალსენიობრივ თვისებებს, მტკიცე იდეურობას, შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას, სიხარულს და სიხალისეს.

დ. ჯანელიძე
პროფესორი

ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც უნივერსიტეტისა და თეატრის მოღვაწეები თავიანთი შემოქმედებით ისე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ეს საქართველოშია.

მართალია უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში თბილისში თეატრი ფიზიკურად აღარ არსებობდა, მაგრამ ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ყოველ ღონეს ხმარობდა მონაწილეობა მიეღო ქვეყნის დიდ სოციალურ ძვრებში და შეექმნა თეატრატრიბუნა, რომელიც ხალხს ახალი ცხოვრების აწინებდა.

ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჩვენმა უნივერსიტეტმა ქვეყნისადმი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ჭრი კიდევ საბჭოთა საქართველოს გარეაფუხე, 1921 წელს, განათლების სახალხო კომისარატის დავალებით ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ ა. ფაღვანელი დაწყო ზრუნვა სათეატრო განათლებისათვის. 1922 წელს დაარსდა პირველი დრამატული სტუდია, პედაგოგებად მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლები და მათი მოწაფეები ა. ჩავხიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ვ. ჯიბრაძე, ა. ჩიქობავა, ა. ნათიშვილი. ერთ წელიწადში ეს სტუდია თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა და 1924 წ. მოხდა მისი პირველი გამოცემა. კურსდამთავრებულთა რიცხვი იყვნენ აკაკი ხორავა, ვასო გომიასვილი, სესილია თაყაიშვილი, თამარ წულუყიძე, პიერ კობახიძე და სხვები. აქ შექმნილი ცოდნა მათ მთელი თავიანთი თეატრალური მოღვაწეობის მანძილზე გაჰყავდა და მუდამ მალღობრების გონიობით იხსენიებენ თავიანთ პირველ მასწავლებლებს. ამას გარდა, ბევრი ქართველი მსახიობის ბიოგრაფია მტკიცედ აარს დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან.

ქართული თეატრის გენეზისის დადგენისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა და ფრანგი საინტერესო გამოკვლევები შექმნა ქართველი მეცნიერთა სიამაყემ ივანე ჩავხიშვილმა. მისი ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ ის სამაგიღო წიგნია, ურომლისილად ხელფრენებამთკონდნობის, მუსიკისა თუ თეატრმცოდნეობის ვერც ერთი თეორეტიკოსი ვერ წარმართავს თავს კვლევაზე.

ასევე ძნელია გადაფასება იმ წვლილისა, რომელიც ქართულ თეატრმცოდნეობაში უნივერსიტეტის დიდმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ შეიტანა. მისი გამოკვლევები, ენებმა ის თეატრალური წარმოდგენის ელემენტების დადგენას, გრიმის არსებობას, ერეკლე მეფის დროინდელი თეატრის ხასიათს თუ „სიბილიანაში“ წარმოდგენილ ცხოველთა თეატრის სახეს, ურყვე მეცნიერულ საფუძვლად დაედო ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის დიდა და გადაუღებელ საქმეს.

არა ერთი მეცნიერული ნაშრომით გაუწია ფასდაუდებელი დახმარება ქართულ თეატრმცოდნეობას კამოჩენილმა მეცნიერმა, ხელოვნებათმცოდნეობის და უღელქმა მიკორნახულემ, პროფესორმა შალვა ამირანაშვილმა. მან ნათელი მოიფინა კლხეთში ანტიკური ეპოქის ქართული თეატრის არსებობის საკითხს. შალვა ამირანაშვილის გამოკვლევები უფლისციხის

არქეოლოგიური კომპლექსის შესახებ ქართული თეატრის ისტორიოსებს აფიქრებინებენ, რომ უფლისციხეში იყო რომაულ თეატრის ყაიდაზე აგებული სათეატრო შენობა.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა სიმონ ყაუხჩიანიშვილმა ქართულ თეატრის სახეობა გაუთქვა იმ საერთაშორისო მნიშვნელობის გამოკვლევებით, რომლებიც ანტიკური ეპოქის ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ თეატრებს ენება, აღარას ვამბობთ იმ კონსულტაციებზე, რომლებსაც იგი ქართული თეატრის მოღვაწეთ უწევს, როცა ისინი ხელს პიკედებენ ანტიკურ დრამატურებას.

ყველა ამ მეცნიერის გამოკვლევები და მოსაზრებანი დაედო საფუძვლად ქართული თეატრის ისტორიოსის, ცნობილი თეატრმცოდნის, უნივერსიტეტის პირმოს, პროფესორ დიმიტრი ჭანელიძის ნაშრომთა დიდ ციკლს.

ქართულ თეატრმცოდნეობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების გიორგი ჭიბლაძის, ალექსანდრე ბარამიძის, ანკა ბუკორიშვილის, რევაზ ნათაძის, გივი ვაჩიშვილის, ტატიანა რუხაძის და ამავე უნივერსიტეტის აღზარდული მეცნიერების ამბერკო ვაჩიშვილის, გიორგი ციციშვილის გამოკვლევებმა და წერილებმა ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის, საბჭოთა თეატრის მოღვაწეებისა და რეპერტუარის შესახებ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო წევრი, უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ახვლედიანი წლების მანძილზე თავმჯდომარეობს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულ ენის სიწმინდისა და ქართული სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო მსახიობები, თეატრის მოღვაწეები და ენათმეცნიერები.

განსაკუთრებით დასაფასებელია ის, რომ მსცოვანებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით გაღატკობის მუხედვად გიორგი ახვლედიანი პოელობს დროს დაეხმაროს არა მარტო დედაქალაქის, არამედ რაიონულ თეატრებსაც, თბილისსა და რაიონებში ატარებს სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებს, ენობრივად განიხილავს სპექტაკლებს, რთავ დიდად ეხმარება სცენის მოღვაწეებს, ხელს უწყობს სასცენო მეტყველების დონის ამაღლებას.

ამ დიდ ეროვნულ საქმეს ეხსახურებოდნენ და ეხსახურებიან აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორები ვარლამ თოფურია, სერგეი ქლენტი, აკაკი შანიძე, შოთა ძიძიგური. მათი მონაწილეობა პიესებისა თუ სპექტაკლების ენობრივ გამრევაში საზაგალითოდ დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში.

თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობა ქართულ საბჭოთა თეატრის საქმიანობაში მუდამ ახარება და ახარებს ჩვენი რესპუბლიკის თეატრების მოღვაწეთ. შალვა ნუცუბიძის მონაწილეობა რუსთაველის თეატრის სპექტაკლების ირგვლივ გამართულ დისკუტებში და მისივე მაღალი პროფესიული რტეცნეობი შესულია ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის ძვირფას ფონდში.



ჩვენი ცნობილი თეატრალური მოღვაწეები უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე უნივერსიტეტის დაარსების პირველსავე წლებიდან 1921 წლამდე სწავლობდნენ ჯერ აგრონომიულ, ხოლო შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე. სსრ კავშირის სახალხო არტისტების აკადემიის ხორავას, აკაკი ვასაძისა და სერგო ზაქარაიძის მიზგრაფიებიც დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ფართოდ აღიარებულმა კრიტიკოსმა ბესარიონ უდენძემ.

თბილისის უნივერსიტეტის ყველა დასახელებული მეცნიერი იყო გზამკვლევი თეატრმცოდნეთა იმ თაობისა, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტზე აღიზარდა, ამ თაობის წარმომადგენლები, ამჟამად ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები შალვა მაქვარიანი, ნათელა ურუშაძე (პ. წ. სწავლობდა ახლად დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებაზე), ნადეჟდა შალუტაშვილი, ნინო შვანგირაძე უსაზღვრო მადლიერების გრძობით არიან გამსჭვალული მშობლიური უნივერსიტეტისა და მის პროფესორ-მასწავლებლებისადმი.

ამავე ფაკულტეტის რუსული კურსის დამთავრა საქართველოს სახალხო არტისტმა ნოდარ ანდელუაძემ, დამსახურებულმა მსახიობებმა პეტრე თომაძემ, ნუცია მიქელაძემ და მომღერალმა თენგიზ ჩოჩუამ. მათ თავიანთი დიდებული ვოკალით ბევრჯერ მიაწიეს სიაზოვნება საბჭოთა ხელოვნების მოყვარულებს, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. ტრიპოლსკი, თ. ბაქრაძე, ვ. ნინიძე, ცნობილი დირიჟორი

დ. მიცხულავა, თბილისის უნივერსიტეტის პირველი არიან, ხოლო ისეთი სახალხო არტისტები, როგორცაა მედეა ჭაფარიძე, მედეა ჩახავა, დიმიტრი მქედლოძე, სერგო ქვიციანი, თავიანთი შემოქმედების რთულსა და საინტერესო გზაზე ვერ ივიწყებენ იმ წლებს, რომლებიც უნივერსიტეტში გაატარეს.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პავლე კანდელაკის მოღვაწეობას. მან უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში დაასრულა და კეთილსინდისიერად ემსახურა ჩვენი ხალხის კულტურის წინსვლას. ასევე, რუსთაველის თეატრის მკვლევარი უთუოდ მოიგონებს ამ თეატრის ყოფილ მსახიობს პანტელეიმონ ბერაძეს, რომელიც შემდეგში კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი პროფესორი იყო უნივერსიტეტში.

ქართული თეატრისადმი სიყვარულმა და მისი დიდი ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებამ გადაწყვიტინა უნივერსიტეტის მესვეურთ, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე ფილოლოგიის ფაკულტეტზე წაითხოვიყო ქართული თეატრის ისტორიის სპეციალური კურსი, რაც უთუოდ ხელს უწყობდა თეატრმცოდნეობის მაღალი პროფესიული დარგების აღზრდას. მისასალმებელია უნივერსიტეტში ახლა ხელოვნებისმცოდნეობის კათედრის გახსნა.

ჩვენი თეატრის მოღვაწეები, მთელს ქართველ საზოგადოებაში უნივერსიტეტთან ერთად, უსაზღვროდ აფასებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დიდ ღვაწლს ქართული თეატრალური ხელოვნების წინსვლის საქმეში.

მაყუჩებულთა კონფერენცია სხინვალში

21 მარტისაღმართ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კოსტა ხეთავადაშვილის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრში მოაწყო მაყურებელთა კონფერენცია.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის წევრმა ნინო შვანგირაძემ.

მოსხენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე. მან განიხილა ქართული და ოსური კოლექტივების ოთხი სპექტაკლი (ოსური დასის „ოიდიპოს მეფე“ და გ. ხუგაევის რელიევი „ჩემი ცოლის ქმარი“, ქართული დასის — ე. სობკოს დრამა „შორეული ფანჯრები“ და გ. ნატროშვილის პიესა „მიწაში დამარბული სხივები“).

— ოიდიპოს მეფე, — თქვა მომხსენებელმა, — მშვენიერი შთაბეჭდილება დტოვა. ეს არის აკადემიური, გამართული სპექტაკლი. მოსაწონია მსახიობთა მუშაობა, მხატვრული და მუსიკალური გაფორმება.

შედარებით დაბალ დონეზე დგას „ჩემი ცოლის ქმარი“, მართალია, ეს ხალისიანი და მხიარული სპექტაკლია, მაგრამ პიესა სუსტია. მას აკლია კომპოზიციური შეკრულობა, ქებას იმსახურებენ მსახიობები: ალიხან თედგევი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვახტანგ ენდელევი.

„შორეული ფანჯრები“ ძირითადად კარგი კულტურული და შინაარსიანი წარმოდგენაა. მსახიობები დამაჯერებლად და ჩინებულად ასრულებენ როლებს. მიუხედავად ამისა, სპექტაკლს აკლია რეჟისორის ხელი. სიტყვები ზოგჯერ მაყურებელად არ აღწევს. არის დუბლირება მონაცემებში, ხოლო არა სწორად გადაწყვეტილი პირობითი სცენები ერთგვარ ჩრდილს აყენებს სპექტაკლის საერთო წარმატებას.

„მიწაში დამარბული სხივები“ დადგმით კარგი და მისასალმებელი საქმე გააკეთა ქართულმა დასმა.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა რეჟისორი მიხეილ გიემყრელი. მან დეტალურად გააანალიზა რეჟისორებისა და აქტორთა ნაშრომები, მაღალი შეფასებამისცა ოიდიპოს მეფეს. მოიწონა მსახიობ ივანე ჯიკიციას მიერ გასახიერებული ოიდიპოსი.

მხატვარმა გიორგი გუნამ აუდიტორიის ყურადღება გაამახვილა იმ სუსტ მხარეებზე, რომლებიც სპექტაკლებს გააჩნიათ მხატვრული გაფორმების მხრივ და სცენურ განათებაში.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქართული დასის მთავარი რეჟისორი ი. მაცხოვრისვილი, მწვრთნელი: თ. გაგლოვი, გ. ჭაბუკი, მასწავლებელი ვ. კახრაძე, ოსური დასის მსახიობი რ. გასიევა, ვახუთ „საბჭოთა ოსეთის“ მუშაი ე. ბაშარული.



მეხრი თუ მოყვარე

მისიელ გიჟიყვანი

ამ ცისფრად მოციმციმე ყუთმა, უთვალავ ოჯახში შემოჭრილმა, ყოველ ბინაში ყველაზე საინო აღვილი დაიკავა, ავეყვარა მისი განსჯა და დღის რეჟიმი განაპირობა და მილიონთა ყურადღება ერთიანად მიიპყრო.

ტელემაყურებელთა აუდიტორიის გეომეტრიული პროგრესით ზრდამ ააფორიაქა სცენის მსახურნი და არცთუ უმინუსოდ.

მეტად ადვილად „შინ მორთმეულ“ სპექტაკლს თავის „ჯალო“ გამოცალა და ტელევიზორზე სცენურ შემოქმედების სახელკამეტზე ასლი შემოგვჩინა მხოლოდ. მილიონთა წინაშე გამოტყვევრა უსიამო ხელოვნებობა გრძობის, პარიკისა, რეკიზიტის ცრუ-ფუტურობა, მერჯის თითხნილობა, მთელი ამ ნაირგვარ სიყალბის სამხარეულო. აშკარა იყო, რომ სპექტაკლის შორ მანძილზე გადაცემა აუნახადურებულ დახაქარებზე იქნებდა.

განსაკუთრებით შევავი განცდა გვიფიქრობდა მაშინ. როცა ტელევიზორის პოლორებულ ყუთებში ჩამწყვდეული სცენის ქურუნი უსიცოცხლოდ დაცლილებდნენ თავს და ონდავდას არ გაეაზნებდნენ თავის მომწიფეულ შემოქმედებას.

თორმე თეატრალური ხელოვნების ქემშიარტი ქმნილება, მალახარისხიანი ღიბისა არ იყოს, ვერ იტნის ტრანსპორტირებას. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე მდებარეებმა გარკვეული გამოცდილება დააგროვეს თავისი პროდუქციის შორმანძილზე გადატანის მოგვარებაში და არც ჩვენ უნდა ვავალოთ ესა და მეცადინეობა, რათა სპექტაკლის ტელეტრანსლაციით გამოწვეული დახაქარებები შემდეგისადაგროვდნენ შევამოცრობოთ მანქ.

გამოცდილება მისხალ-მისხალ გრაფიკაზე, ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს საკითხის ამომწურავად და ყოველმხრივად გაშუქების პრეტენზია, ცხადია, არ განიხილა და ვერც იქნება.

შევიხებთ საკუთარი დაკვირვებით შენიშნულ ორიოდ მომენტს.

წინასწარ გამოცდილებით იმ კერძო შემთხვევას, როცა სპექტაკლი თავის გაფორმებისა თუ სხვა თავისებურებათა გამო „შეუვალა“ და მიწვევადომილი მომრავი სატელევიზიო სადგურის ტექნიკისათვის.

ქვემოთ გამოთქმულმა მოსაზრებებმა, შესაძლოა მორკადობელი წვლილი შეიტანოს შესაძლებლობის ფარგლებში მოქცეულ საკითხების გადაჭრაში და ვიცდებით ჩვენს მსჯელობაზე ამ ზნით წინაპრობით.

მოკლევანთა გარკვევით წარმატებას, მიუწევას საკვანძო საკითხის გამოჩინებას და შეცნობის უნარი აპირობებს, მაგრამ ამასთანავე თეორიულ განხილავადებათა დონის პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობა განსაზღვრავს. ვერ კიდევ სათანადო საფუძველი არ გაგვჩინა, რომ კატეგორიულად წამოვადგინო ჩვენს მიერ დამსწრე პრობლემის უმთრიადესი მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ძირითად მომენტად უნდა მივიჩნიოთ დროის ფაქტორის პრინციპული სხვაობის გათვალისწინების აუცილებლობა სცენასა და ტელევიზორზე.

ტელევიზორზე გამოსახული მოქმედების რეკლამენტი ბევრად უფრო მცირეა იმ დროზე, რომელსაც სცენური გარემო ითხოვს. იგივე პაუზა, რომელიც მუხტავს პარტურში მკლამ მაყურებლის ყურადღებას, შეუწყნარებლად ექაზნებოდა ტელემაყურებლის თვალში. თეატრის ეპიკურ მალს, ცისფერი ეკრანი ვერ ინახუნებს და ტელემაყურებლის ყურადღების სტიმოლორებისათვის საჭირო ხდება კადრის შენახვაც. მაგრამ თუნდაც დროული, კომპოზიციურად გამართული და შინაარსით გამართლებული ახალი კადრი ტელემაყურებლის შინაგან პროტესტს მანიც იწვევს. ეს პროტესტი ხშირად შეეცდომება და ფარული, მაგრამ უთუოდ გასათვალისწინებელია.

როგორია ამ პროტესტის ფსიქოლოგიური საფუძველი?

პარტურში მკლამი აღმანი სცენურ მოქმედებას თვალსაყურით ხედავს მხოლოდ მდებარეობს, იგი შინაგანად თავისუფალია ამორჩილი თავისი საინტერესობები და აკვირვებისათვის, ყურადღებას გაამახვილოს ამა თუ იმ მსახიობის ცალკეულ მოქმედებაზე, რეჟისა თუ პოზაზე, მაგალითად, ყურადღებას გადაიტანოს მოლაპარაკე მსახიობიან მის პარტნიორზე და სწორლად ამ პარტნიორის სახსურო რეაქციას ელოდოს და ე. შ. ამიტომაც სპექტაკლს ეძიებოდას ტელემაყურებელი აღიქვამს როგორც ერთგვარად თავმჯიველ მოქმედებას, მისი შინაგანი ინიციატივის შემსუღვევლ კარნახს. ტელემაყურებელი ქვეშეცნობილად გრძნობს, რომ ტელევიზიორი ყოველი ახალი კადრით მიუთითებს და არიგებს მას ახლა ამას დაღუკვირლი და ახლა კი იმასო. მაყურებელი მწვალად ურადგდება სხვისი საჩუქებელი თითის ამება წარმოჩინას. გაისენებოთ რაოდენ მოსაბეზრებელია თეატრში მენობლად მკლამი მაყურებელი, რომელიც თქვინე ყურადღების მართვა შეუდგება. სწორედ ეს გარემოება ითხოვს სათანადო გათვალისწინებას კადრირებისათვის გამოყენებული ხერხების გადასინჯვის თვალსაზრისით.

ჩვეულებრივად თეატრალური სპექტაკლის ტელეტრანსლაციის დროს კადრირება წამყვანი რეჟისორის პულტზე არსებულ ოლიაკის საშუალებით ხდება, რაც გამოსახულების მომენტალურ ნახტომისებრ შენაცვლებას იწვევს. ამგვარ ნახტომებს, კარახანია, რაც კინოში შეუჩვიეთ და მათ გარეშე ფილმი ვერც კი წამოიგდებინათ. მაგრამ სპექტაკლის ტრანსლაციის პირობებში პლანების ნახტომისებური მონაცვლეობა არღვევს სცენის აღქმისათვის დაამახასიათებლ ბუნებრიობას და კიდევ უფრო გავამრავს თეატრალურ აღმოსაფერის შეგრძნობის საშუალებას, რომლისკენაც ტელემაყურებელი ქვეშეცნობილად მანიც ილტვის. რაჟი მას არა ფილმის, არამედ სპექტაკლის ჩვეებას აღმარდნენ.

შეიძლება თუ არა ეს არასასურველი გრძნობა შეკრიბილი და ტელემაყურებელს შეიქმნათ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს სპექტაკლის დაქვემდებარულ ფრაგმენტებს ბინახე კი არ უგზავნით; არამედ თვით მაყურებელს თეატრში ვიწვევთ.

სასურველი იგეგმოს, ჩვენის აზრით, ირგვარად მანი დაუახლოვდებით თუ კი კადრების ცვალებადობას გაწარმოებთ არა ოლიაკის საშუალებით, არამედ მიგრანთივად გამოსახულების თანდათან მიხალკების იმ ხერხს, რომელსაც ვარიობებიქტივის გახსნებელი გამოყენებით მოვლავთ. როცა სცენის საერთო პლანის ჩვენების შევად ყველაზე ყურადსაღებ ობიექტის თანდათან გაყვადლებთ მამინ მაყურებელს აღარ მალდება მას როგორც გარეგან მოხიველ ხერხს. პირიქით, ეს იქნება მაყურებლის განწყობილების შენახამისი და სასურველი შთაბეჭდილების გამოწვეული მოქმედება: თითქოს ტელემაყურებელი თვითონ უახლოვდება იმ ობიექტს, რომელზეც მისი ყურადღება საერთო პლანზე მოქცია. ამრიგად, ვარიობებიქტის თეატრალური ღერძინდის ფუნქციას მივაკეთებდით და მაყურებელს შევიქმნიდით შთაბეჭდილებას იმისა, რომ ამ ღერძინდს თვით მაყურებელი საკუთარი ინიციატივით ხმარობს.

ვარიობებიქტივით მიუხედავად უფრო სათუთ, მოქნილ, ელასტიკურ ოსტატობას მოითხოვს ოპერატორისა და რეჟისორისგან და, ჩვენის აზრით, თეატრს და ტელევიზიის ურთიერთობის გაუმჯობესება ბევრად იქნება დამოკიდებული ამ ოსტატობის დაუფლებაზე და ამაღლებაზე.

მეტ დამკვირვებლობას და საზრინახობას ითხოვს ხმის რეჟისორის ფუნქციათა ზუსტი შესრულება.



სმექტაელის ტრანსლაციის დროს ხმის ჯგუფის ყურადღება მახსობთა მეტყველებაზე, სიტყვის უღერაობის სიმწინდელზე გადატანით. ხმის რეგისორის ცდა იქითავე არის მიმართული, რომ სიტყვას გერეთწოდებული ფონი არ სდევდეს და სხვა არაფერი ისმოდეს, ყურის მხოლოდ და მხოლოდ გარემო ხმოვნებისაგან დაწინაღობა სიტყვა სწავლებლის.

ასეთი ცდა საკვებით ბუნებრივი და გასაკვირა. უფრო მეტიც, სიტყვის საჭირო აღერადობაზე ზრუნვა ხმის რეგისორის პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ როგორც ყოველგვარ საქმეში, ისე ამ შემთხვევაშიც მეტისმეტად ვიწრო გაგებით მოვალეობის შეგნებას თან აუცილებლად სდევს ფორმალში და კონსერვატიზმი. საშუალოდ ზოგადად კონსერვატიზმის განმტკიცებას ხელს უწყობს ტექნიკური კონტროლი, რომელიც სცენაზე სკამის გადადგმისაგან გამოწვეული მცირე მხედრის აუქსტივის ოლქსადა, ბოქადა და წუნად უფლის ხმის რეგისორს, მაშინ როდესაც სცენის რამე აქსესუარის გადაადგილებით, ჰერქლის დალაგებით თუ მოქმედი პირის ფესხაკლის ქრიალით გამოცემული ხმა შესაძლოა იმ საგულისხმო მნიშვნელობის ეფექტად იქცეოს, რომელიც სათანადო განწყობით ამოყვება სცენაზე დაბადებულ სამეტყველო პაუზას და ცხოველ სინამდვილის ატმოსფეროს შეიტანდა სმექტაელის დინებაში. არა ერთხელ შეგვიძინა მანაც როცა ხმის რეგისორი სცენაზე ჩამოვიდნო დუმილის მოქმედებაში მოქმედს კეტავდა ტექნიკური კონტროლიდან მისალოდელ პრეტენზიების აცილების მიზნით, მაშინ როდესაც მხატვრული ამოცანა სწორად მიქმედის ფსოლოგური გახსნას ითხოვდა. ჩვენი დრამა რწმენით ხმის რეგისორს თავისი პარტიტურა უნდა ჰქონდეს და ამ პარტიტურაში პაუზა უნდა იქონიდეს როგორც ფორტე და არა როგორც პიანისო.

ამ მხრივ ხმის რეგისორმა უნდა იკისროს თავისებური ოლტბარისა და დირიჟორის ფუნქცია. ხმის რეგისორის მიერ მოხდენილად აღებრებულ პაუზას ტელემაყურებელი აღიქვამს როგორც სცენაზე ნაჩვენებობი ცხოველების ბუნებრივ დინებას და არა სმექტაელის რიტმის უსიამო მოდურებას.

სმექტაელს უშუალოდ დასწრების შთაბეჭდილებაში გაძლიერების მიზნით საეჭვოდ მივიჩნია მაყურებელთა დარბაზის ჩვენება მოქმედების მსგელოების დროს. თეატრის მაყურებელი უშუალოთა გატაცებული სცენაზე მომხდარი ამსა განთვითნობა. იგი თვით არის ჩართული დრამატულ კონფლიქტში, იგი ერთგვარად თანამონაწილეა იმ ამბისა, რომელიც სცენაზე იშლება.

როგორც კი სცენური მოქმედებით გართულ ტელემაყურებელს თეატრალურ დარბაზს ვეჩვენებთ ტელემაყურებელი ეთიშება ამბის უშუალოდ აღქმის პროცესს და თანამონაწილს ნაცვლად გადაიქცევა იმ გარდად მოთვალთვალ პიროვნებათ, რომელიც ამბის განვითარებას გვერდიდან გულშეშლად უქცირის და თავს ირთობს ნაცნობი სახეების ძებნით. ის, რაც ტელემაყურებლის ინტერესის გამაღვივებელ საშუალებად არის მიჩნეული, ფაქტურად აღუწევს მის ყურადღებას, სიომავს სმექტაელის ისეთიტიკური აღქმის გარემოდან და ობივტურლ კონბისოყვარობას უღვივებს. ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად წარმო-

გვიდგენია. თუ რა არტისტობის გრძნობაა, რომ კადრში დაკლებულმა მაყურებლის სახემ კი არ გამოგვიტოვოს, არამედ სმექტაელის არსით კიდევ უფრო დაგვიანტერესოს.

ეს უნდა იყოს ფრადი მუნწად და ზუსტად ხმარებული ხერხი და არა ტრანსლაციის აუცილებელი რიტუალი. მაყურებლის ჩვენება გამართლებული სმექტაელის დაწვები წინა წუთებში, ეს სასურველიცაა. ასევე გამართლებული ცალკეული მოქმედებისა თუ სმექტაელის დასასრულს, მაგრამ არა თვით სმექტაელის მსგელოების დროს.

თეატრი უშუალოდ დაბადებულ, ცოცხალი ნიუანსების ხელოვნება და ამიტომ ტელემაყურებლის გულსყვარის იმგვარად ისრუტავს, რომ გარკვეულ დროის შემდეგ ტელემაყურებელი ზედმეტ დაძაბულობის კვალს იმჩნევს. რა ელონით ისეთი, რაც მაყურებლის გადალოს შეაკვირებს, შეესაყვება და სმექტაელის საერთო ატმოსფეროდან არ გამოიყვანს.

ვეფრობა, რომ ანტრაქტი უნდა ეთმობოდეს არა თეატრულად სხვა გადაცემას, არამედ სმექტაელის კონცენტრირებას — თეატრმცოდნეს, რომლის საუბარი მაყურებელს სმექტაელისადა გაღვივებული ინტერესის სფეროდან არ გამოიყვანს.

ამასთანავე, თუ გვიხდა ბოლომდე გულმართალიყოფით, უნდა ვერძოლო დიდ და მრავალტანიანი სმექტაელის ტრანსლაციას. ყველა პირობის დაცვით სმექტაელის სრული სახით ტრანსლირება სრულესეთეატრულ მყარფლებლის მოლოდინს იწვევს. მოლოდინი მაყურებელს არ უშარბოდება და ეს გარემოება უთულოდ გასათვალისწინებელია.

რაც შეეხება ცისფერ კერანზე ნაჩვენებ სმექტაელის ფრავებებს, მას სმექტაელისეული სისრულის პრეტენზია არ გააჩნია და ის უფრო ხელსაყრელია და მომგებიანი.

მამ რა დასკვნა გამოვიტანოთ?

ტელევიზია თეატრის მეგობარია თუ მეტრი? ამ კითხვაზე გაციემული პასუხის ხასიათი უპირველესად ყოვლისა გადაცემის დონეზეა დამოკიდებული. და თუ ყველა პირობის დაცვის შედეგად ტელევიზიამინც ვერასოდეს მიუახლოვდება სმექტაელის ბუნებრივ ეფექტს მან არ ნახვოდ და შეუღარებელი მეგობრობა მანც უნდა გაუწიოს თეატრს.

საშუალოდ, ჯერ კიდევ მსოფლიოს ვერცერთმა ტელესტუდომ ვერ გამოიყენა ის უდიდესი უპირატესობა, რომელსაც მას აკურნალ-გახეთობთან შესაძრებით გააჩნია თეატრალური პრაქტიკის საკითხების გამოვლენაში.

სმექტაელის ტელერეცენზიაში ჩართული ცალკეული მოქმედებათა ფრავებებზე, ჯეროვნად მოწოდებულნი, უფლად არგუმენტაციის ძალს შეიტანდნენ.

ასეთი ტელერეცენზიების საშუალებით თეატრის არა თუ წვაართმევი მაყურებელს, პირიქით, გაუღვივებთ მთ ინტერესს საცენო ხელოვნებისადრ, ავადლებთ სმექტაელის აღქმისა და შეფასების დონეს, ჩაუნერგავთ ახალ თაობას თეატრალური კულტურის უშუალოდ ათვისების მოთხოვნილებას.

ამ მხრივ ტელევიზიის წინაშე თეატრთან მეგობრობის არნახული პერსპექტივა იშლება.

მხველრა ქართულ მხსნიერებაში

მართული მეცნიერების ტაძრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს მიძღვნილ თეატრის მოღვაწეთა შეხვედრა უნივერსიტეტის პროფესორ-მსწავლეობებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის დ. ანთაქემ.

შეხვედრასე სიტყვებით გამოვიდნენ სსრკ სახალ-

ხო არტისტები: ე. ანჯაფარიძე და ა. ვასაძე, ხელოვნების დამს. მოღვაწე ოთ. გვაძე, აკადემიკოსები გ. ახვლედიანი, ი. ვეკუა, არნ. ჩიქობავა, გ. გიბლაძე.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში აღზრდილმა ხელოვნების მუშაკებმა.

მირა ფიჩხაძე

XIX საუკუნის მეორე ნახევარი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კულტურის მთლიან ამაღლებას, გამოცოცხლებას იწყებს. 40-იანი წლების დასაბრუნებელი თბილისში ჩამოყალიბდა პირველი თეატრალური დასი, რომლის მსახიობები ჩამოსული იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან. ამ დასის წამყვანი რეჟერტური იყო კომედიები, ფარსები, გო. დევილები სიმღერით, კომიკური ოპერები. როგორც იმ დროს პრესა იუწყება, პიესები მუსიკით და განსაკუთრებით ვოდევილები და კომიკური ოპერები მსმენელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა. სწორედ აქ უნდა ვეძებთ ჩვენს საოპერო განხრის განხრის პირველი წინამძღვრები, ისევე როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში.

50-იანი წლების დასაწყისში საქართველოში უკვე დაარსებულია ნამდვილი თეატრი, რომელსაც სამი დასი გააჩნდა; რუსული დრამატული, იტალიური საოპერო და ქართული დრამატული.

საქართველოში ოპერება განადა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აქ საავსტრიული ნამდვილი რუს მსახიობთა დასი ცნობილი რეჟისორის პიროლინის ხელმძღვანელობით. ის იყო ერთ-ერთი ოპერული პროპაგანდისტი და ეხერხება რუსული და გასტროლების დროს საქართველოში თან ჩამოიტანა მისი საუკეთესო ნიმუშები. აქ იღვწევა ერგასა და ოფენბახის, მოგვიანებით ლეიკვის, ოდრანის, პლანკეტის ოპერები.

მოგვიანებით თბილისში ჩამოიღეს მეორე დასი რეჟისორ პალმის ხელმძღვანელობით, მას ფრანგული გარდა, იტალიური სკოლის საოპერო ნიმუშებიც ჩამოაქვს. პალმი, თბილისს გარდა, წარმოადგენს მართაქს ქუთაისსა და გორში. ოპერებთან ერთად იღვებდა ვოდევილები, ფარსები.

თავის არსებობის პირველ ათეულ წლებში ოპერება საქართველოში აშკარად მიმავალიობით ხასიათს ატარებს. აქედნ სცენაზე ზუსტად ვადაბობს თარგმნილი ტექსტები, რუსული დასების სახეობა და საშემსრულებლო სტილი. ამ ეპოქის პოპულარობა ქართულ მსმენელთა შორის იმდენად დიდია, რომ უცხოური საოპერეტო ეპოქის საუკეთესო ნიმუშები მათი დახადებისთანავე იდგებიან თბილისის სცენაზე. ხოლო შემდგომ, როდესაც ოპერებში თავის რეჟერტურაში შეიქმნა თბილისის საოპერო დასს (სახანის თეატრში). აქ ჩამოიღეს ცნობილი საზოგადოებრივი და რუსი მსახიობები. ვინდა აღარ გამოიღოდა იმ დროს საქართველოში: ფრანგული ოპერების ვარსკვლავი პანა ჟოელივი და მარია გროზე მონაბოხნი, შამპენი და ლასლი, ვინის საოპერეტო ანსამბლი და რუსული საოპერეტო დასის არახალეუბ პოპულარული თეატრული: ვილკევა, რასილი, კოლკოვა, მარკლი, ჯედეკიაი, მანტკოვსკია და სხვები.

რამდენიმე წლის შემდეგ საოპერო ეპოქა დაინტერესებს ეროვნული კულტურის გამორჩეული მოღვაწეებს და სწორედ ამ დროს იკეთების პირველი ცდები ოპერებების ქართულ ყალიბზე გადაკეთებისა. ოპერება გადადის ქართული დრამატული თეატრის სცენაზე. საოპერეტო ნაწარმოებები უმთავრესად დრამატული სუბტილებების შემდგომ სრულდება და მასში მონაწილეობდნენ ქართული სცენის ცნობილი ოსტატები: კ. მესხი, ვ. გენია, ა. ცაგარელი, ე. ჩერკეზიშვილი, ნ. ცაგარელი-გაბუნია, ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი და სხვ.

უარესად საინტერესოა საოპერეტო ტექსტების თარგმნის იმ დროს გაერცვლებული პრაქტიკა. ოპერებები მექანიკურად კი არ გამოიღოდა ჩვენს სცენაზე, არამედ ქართულდებოდა და ერთგვარად, ეროვნულ ძვირას იქნა, ქართულ ყალიბზე (ივლი) ლოდა მოქმედ პირთა სახელები, მოქმედების ადგილი.

მთარგმნელები ითვალისწინებდნენ ადგილობრივ სიტუაციას, ოპერებში შექმნილი საკუთარი „პარტიკი“.

ახალი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ამ ეპოქის განვითარებისა, იწყება მაშინ, როცა ქართულ ოპერებში მოვიდა ამაშიკების ოჯახი: ვასო, მაკო და, მოვიანებით, მათი ქალშვილი ტასო. იმ დროს არცერთ ქართულ მოღვაწეს არ მიუძღვის ისეთი დიდი დედა ან ეპოქის განვითარებაში, როგორც ვასო ამაშიკის. მთარგმნელმა, კომედიანმა და ვოდევილების ავტორმა, კულტურტებმა, კომიკმა, მიამიტი გმირების უბადლო შემსრულებელმა ე. ამაშიკმა სცენაზე შემოიტანა სოციალური თემატიკის სიმწვევა. ვასოს საოპერეტო ეპოქის ძალიან უყვარდა, მას ერთ-ერთ ყველაზე დამორატულ ქართულ თეატრს.

ქართული ოპერების განვითარებაში არანაკლები როლი შეასრულა მაკო საფაროვა-ამაშიკმა. მას დიდი კომედიური ნიჭი გააჩნდა, თვითონ თარგმნიდა საოპერეტო ტექსტებს, კარგი ხმა ჰქონდა და საუკეთესო შემსრულებელი იყო ქართული ვოდევილებისა სიმღერებით. მაკომ შექმნა დამოუკიდებელი სახეობა ოფენბახის, ერევს და ოდრანის ოპერებში. მას გააჩნდა თავისი საკუთარი საოპერეტო ანტრეპრიზა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საოპერეტო სექტაქლები, რომლებშიც ამაშიკების მთელი ოჯახი მონაწილეობდა. საუცხოო ელკაური მონაწილეების მქონე მათი ქალშვილი ტასო ფრანგულ ოპერებში მონაწილეობდა სახეობა ქმნიდა.

როდესაც ლაპარაკია ვასოსა და მაკო ამაშიკების როლზე საოპერეტო ეპოქის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ მათ პირველბმა შექმნეს საქართველოში ერთიანი საოპერეტო ანსამბლი თავისი რეჟისორის, მსახიობების, საშემსრულებლო სტილით. ისინი ოპერების თვალდენენ სასცენო ხელოვნების სრულყოფილიან ეპოქად.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში განსაკუთრებულ აქტიურ მოღვაწეობას იწყებს ქართული სოციალ-დაზნაურთა კლუბი, სადაც არსებობდა ე. ბეგაბეგოვის ანტრეპრიზა. ბეგაბეგოვი საქმოდ საკულტურისში ფიქრება. ის იყო კომპოზიტორი, კაპელისტერი, ორკესტრატორი და საზოგადოებრივი მოღვაწე. საოპერეტო ეპოქის ეს ერთუხიასტი გატაცებით იწყებს ამ ეპოქის პროპაგანდას საქართველოში. ბეგაბეგოვის ცდები პირველ „ორკინალური“ ოპერებების შექმნისა ყურადღების ღირსია იმითაც, რომ ქართულ სიუჟეტებსა და ქართულ მუსიკალურ ფოკლორს იყენებდა. მაგარ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი ოპერებებს — მონაბოხის მუსიკა უმთავრესად კომპოზიტორი ხასიათს ატარებს.

სათავადაზნაურთა კლუბის ანტრეპრიზაში აქტიურად მოღვაწეობდნენ საოპერეტო ეპოქის როგორც ჩამოსული, ასევე ადგილობრივი ძალები. ამ დროს ქართული საოპერეტო მსახიობებთან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დათა მგალაბლიშვილი. იგი მუსიკალური მსახიობი იყო. პატარა, მაგარ და ლამაზი გამომსახველი ტენორი და უაღრესად მომხბველი გაერგონა ჰქონდა. იგი განსაკუთრებით მწვენივად ვოდევილებსა და საოპერო ეპოქაში. მას გააჩნდა თავისი ამაღლა, იყო შესანიშნავი შემსრულებელი მიამიტი გმირებისა.

საოპერეტო დასის მეორე ნიჭიერმა მსახიობმა ლადო კვსამეშვილი დიდად შეეწყო ხელი ამ ეპოქის განვითარებას საქართველოში. მან ქართული დროის სცენაზე შექმნა საოპერეტო დასი. მისი ინიციატივით საოპერო თეატრში დაიდგა „მოშაშა ბარონი“, „მონაბოხი ქვირი“, „ბონაფერა“.



ქართული კლუბის საოპერეტო დასში მრავალი წლის განმავლობაში კონცერტმესიტრად მუშაობდა ენა ფალიაშვილი, დიდი ქართველი კომპოზიტორისა.

საზოგადო, ფალიაშვილების ოჯახის მოღვაწეობა საოპერეტო ენარში ნათელი დამამტკიცებელია იმისა, თუ რამდენად იპყრებდა ეს ენარი დიდი ქართველი მუსიკოსების ყურადღებას გრძელყო მუსიკალური კლასიკის ვაფურჩქენის პერიოდში.

საქართველოში ოპერეტის პროპაგანდაში დიდი როლი შესრულდა ბოლიშეობამ ფალიაშვილს, რომელიც წლები განმავლობაში მუშაობდა სათავადაზნაურო კლუბში. ის საუცხოოდ იცნობდა ამ ენარს, უყვარდა იგი და არსებითად პირველი ქართველი პროფესიული საოპერეტო დირიჟორი იყო.

თავის საოპერო ანტრეპრისა ჰქონდა გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ივანე ფალიაშვილს, რომლის ინიციატივით საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა საუკეთესო ნიმუშები. ოპერეტამ დამოუკიდებელი აღწერა დაიკავა საოპერო სცენაზე. რადენიმე წლის შემდეგ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო განხტკიცდა, როდესაც დრამატულ სცენაზე რამდენიმე კლასიკური ოპერეტა ბრწყინვალედ დადგა კოტი მარჯანიშვილმა.

ოპერეტის არსებობის ნახევარმა საუკუნემ თავისი კვალი გაავლო ეროვნული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. მან განხორციელა რად მთავარად და გამოიწვია ქართული კომედიური ოპერეტის დაბადება. მუსიკალურ-კომედიური ენარის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ნიმუში იყო ე. დოლიძის „ჩეთო და კოტი“.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ხელოვნება სწრაფად ენაშურება დროის მოთხოვნებს. თეატრის ცხოვრების რუბრიკი ხდება. ის ექცევა მველს, დრომოჭმულს და ესაღმება ახალს. განსაკუთრებით იზრდება ამ პერიოდში სატარული კომედიურებისა და მუსიკალურ-კომედიური ენარის როლი. პირველი ენარები, რომლებიც ავტორებდნენ ავტორები, კომედიური ენარის სწავლასა ფორმებს, იყო პატარა დასები — „ლურჯ ხალათიანთა“ ჯგუფი, კლუბები, კომედიური ანსამბლები. მათ სპექტაკლებში ენათუხარს-მოთავაზებთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდნენ დრამატულ სცენის ცნობილი წარმომადგენლები და ქართველი კომპოზიტორები, მომღერლები, რეჟისორები.

ამ კოლექტივებმა ხელი შეუწვეს თბილისის კომპარტიათის თვითმომქმედ მუსიკალურ-სატარული თეატრის შექმნას, რომლის საფუძველზე შემდგომში აღმოცენდა მუსიკალური კომედიის პირველი ქართული თეატრი.

1926-27 წლებში ერთ-ერთ ძლიერ სავაპრო ორგანიზაციასთან არსებობდა და აქტიურად მოღვაწეობდა თვითმომქმედ წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ა. ერისთავი და პოეტი ნ. ჩაჩავა. მათ წრეში ორი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწე ე. ჰიაურელი და დ. ძნელაძე მოიწვიეს. ისინი მრავალი წლის განმავლობაში თვადღებულად ემსახურებოდნენ ქართული საბჭოთა ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის თეატრის ზრდა-განვითარებას. არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ამ წლის პირველი მონაწილეები, ისინი, ვისაც მტკიცად რწმენა ჰქონდა ახალი ხელოვნებისა და ვინც მას მთელი თავისი ნიჭი და შემოქმედებითი ენერგია შეაღია: მ. მესხი, ფ. ფერიაშვილი, ზ. ოსუგავალი, ვ. გერსანიძე, მ. დრეიძე, ი. უგულოვა, მ. მესხი, ნ. ზურციკაძე, ჩიჩქლაშვილი, ა. ყიფიანი, მ. ციციშვილი, შ. მგალობლობალი, ს. შარაშიძე. ესენი არამარტო თამაშობდნენ, არამედ მღერობდნენ და ცქიკავდნენ კიდევ. მათ გააჩნდათ რამდენიმე მუსიკალური, პოლსტიკურთან და რისთვის შეგრობება. კოლექტივი (ციხილავა ახლო მდგარაიყო მაყურებელთან და მისი მოთხოვნებიდან დაეკავთვილებინა. ამ მიზნით დაგადა სკიტჩებს, მინიატურულ კომედიებს, მხატ-

ვრულ ავტრებს, ცოცხალ განხებებს, ორატორიებს, რომელიც ავტორებიც იყვნენ ს. ფალიაშვილი, კ. ფიცგერაშვილი, რ. ქორჩია, ს. შარაშიძე და სხვები. თითქმის ყველა ეს სპექტაკლი მუსიკის თანხლებით მიდიოდა. საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ წლის ორი ახალგაზრდა ენათუხარის შემოქმედებითი მოღვაწეობა — კომპოზიტორ ე. ცვაკერიშვილისა და ქართველად გ. მაჭავარიანის, მათ მთელი თავისი ძალა მონაწილეც ქართული ოპერეტის განვითარებას.

წლის პოპულარობა ყოველდღიურად იზრდებოდა. მან შემთარაა საქართველოს მრავალი რაიონი და სიყვარულით ავრცელებდა ახალ ხელოვნებას. ის სწირად გამოდიოდა სრულიად იმპროვიზირებულ სცენებზე; ბახარში, ველზე, ავტომანქანების ბაქანზე და რანჯირის სადგურზე. ამ ნიჭიერმა კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო თვითმომქმედ კოლექტივების ორ ოლიმპიადებში — თბილისსა და მოსკოვში და ორჯერვე გამარჯვება მოიპოვა.

წლის ხელმძღვანელთა თაოსნობით და მეცადინეობით მალე დამოუკიდებელი თეატრი შეიქმნა, რომელსაც ჯერ მუსიკალური სატირის თეატრი ეწოდებოდა, ხოლო შემდგომში მუსიკალური კომედიის თეატრი იწოდა და შეეყვანა იქნა სახელმწიფო თეატრების სისტემაში. 1947 წელს ამ თეატრს ეასო ახალი სახელი მიენიჭა.

თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა კლასიკური ოპერა (მოლიერი, ლოპე დე ვეგა, კლდიაშვილი), თეატრის მთავარი მიზანი გახდა მტკიცედ დაუფლებოდა კომედიურ ოსტატობას.

თეატრისათვის სავტარო იყო სპექტაკლი „სკაპენის ოიები“ (მუსიკა ე. ცვაკერიშვილისა), რომელიც საუცხოოდ გადაგონდა ზ. ოცნელმა.

თეატრმა დადგა ახალგაზრდა დრამატურგების კ. გვიგიაშვილის, მ. ჯვარამიძის და მ. ლავროძის „უჩინიანობის“. ეს იყო ქართული ყოფის ამსახველი ნაწარმოები. ამ პიესით თეატრმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქართული ოპერეტის შექმნის გზაზე.

მაღლ თეატრის რეპერტუარში შეტრიადა იქნა კლასიკური ოპერები — ოდრანის „მასკოტა“. ამ ოდრის თეატრში ჩამოყალიბდა ორკესტრი. მის დირიჟორად მოიწვიეს საოპერეტო ენარის ენათუხარსი კ. მანაბელი. ხოლო მუდმივ ქორეოგრაფად და მანაპირიანი სპექტაკლში (დამდგმელი დ. ძნელაძე) მთავარ როლს ასრულებდა მსახიობი იხვილი.

საოპერეტო კლასიკა თანდათანობით სულ უფრო მტკიცდება თეატრის რეპერტუარში. „მასკოტას“ მოჰყვა „როზ-მარი“ და „სილა“. „ჩოხ-მარის“ დადგმა საუკეთესოდ განახორციელა ანახარტიშვილმა.

ეს გახლდათ ნამდვილი საოპერეტო ხელოვნება — ნათელი, ბრწყინვალე, რომელშიც საოპერეტო ნიჭით მომხილველი იყვნენ ი. როდენ-ჩიკაიძე და მისი ღირსებული პარტნიორი მ. იანვარაშვილი.

თეატრის განვითარების ისტორიაში სავტაროდ ითვლება 1938 წელი — პირველი ქართული ოპერეტის — ვ. კუტირის „ხაჯარათის“ შექმნის წელი. ეს იყო პირველი ცდა თანამედროვეობის ასახვისა საოპერეტო ენარში. ვ. კუტირის, ე. ცვაკერიშვილთან და ა. კერესელიძისთან ერთად, წლები განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა მუსიკალური კომედიის თეატრში.

თანამედროვე კომედიური სიუჟეტების ძიებამ განვირგნა თეატრში მასისა და კულინჩეოს პიესის „აყავიველი ბაღის“ დადგმა.

თუ რადენიმე წლის წინათ პირველი ქართული ოპერეტის, „ხაჯარათის“ დაბადება მომზადებული იყო მთელი რიგი ორიგინალური ვოდევილებისა და კომედიების შექმნით. „აყავიველი ბაღი“ წარმოადგენდა თავისებურ ტრამპლინს თეატრის რეპერტუარში საუკეთესო საბჭოთა ოპერეტების გამოჩენისათვის. ესენი იყო: ი. მილიუტინის „ტრემბიკა“ და „ჩანაისის კოცნა“, ი. დუნაევსკის „ლდი ქარი“, ნ. ბოგოსლოვ-



სკის „11 უცნობი“, გ. აღუქსანდროვის „ჩემი გიუჯუელი“. სექტაკლ „აყვავებული ბაღის“ დასადგმელად მოწვეულ იქნა რეჟისორი ბ. გამრეკელი, რომელმაც შემდგომ საბოლოოდ დაუკავშირა თავისი შემოქმედება ამ თეატრს. მანვე დადგა ე. შაჭიბეიკოვის მუსიკალური ოპერა „არშინ-მალ-ალან“.

თეატრმა ფართოდ მიიზიდა ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორები და ქართულმა ოპერებმა მხრები მძლავრად გავსა. თეატრის რეპერტუარშია შ. ახ-მაიფარაშვილის, ა. კერესელიძის, ნ. გულიაშვილის, თ. თორაძის, ს. ცინცაძის, შ. მილორაგას, რ. ლალიძის, ა. შავერზაშვილის, ი. გეგაძის, ს. ნასიძის, შ. ჯოჯუას ნაწარმოებები.

რა გზით ვითარდება ქართული ოპერება? იგი ვითარდება ჩვენი თანამედროვეობის სრულყოფილი ასახვის გზით.

ქართულ ოპერებებში მაყურებელმა იხილა თავისი თანამედროვეები, ცოცხალი ადამიანური ხასიათები. ქართული ოპერება დასცინოდა ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებს და ისყვარულით ესალმებოდა ნათესს, ჭანსაღს.

მაგრამ თანამედროვეობა ხომ არ ნიშნავს ცხოვრების უბრალო გადმოხანს. მან უნდა შესცლინა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების განზოგადება. კონკრეტულად უნდა ემსახურებოდეს ტიპურის გახსნას. სწორედ ესაა ხელოვნების მთავარი დანიშნულება.

ოპერების როლის ამაღლებამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოითხოვა საოპერეტო დრამატურების მხატვრული ხარისხის ამაღლება და შინაარსობრივი, პრობლემური გადმოდრება. დრამატურების მძალი დონე ხელს უწყობს და ეხმარება მუსიკის თვისობრივ განვითარებას. მხოლოდ მაშინ არის საოპერეტო ხელოვნება მშვენიერი და პოეტური, როცა ყოველმხრივად სრულყოფილია. ქართულ ოპერებს უნდა დაემატა შებლონი და საყუარია გზა ეპოეა. ამ მხრივ ქართველმა კომპოზიტორებმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარეს.

ქართველმა კომპოზიტორებმა ეროვნულ ოპერებაში ფართოდ შემოიტანეს ხალხური მუსიკის, საყოფაცხოვრებო ქალაქური ფოლკლორის დამახასიათებელი თვისებები, საოპერეტო ენაში განსაკუთრებით გაიზარდა სიმღერის ფორმის როლი. მელოდიურად უხვმა, ყოფაცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა და მსმენელთან დაახლოებულმა ქართულმა სიმღერამ გააძლიერა ოპერებაში ლირიკული ხასი და მთელ რიგ შემთხვევებში ოპერება ლირიკულ-მუსიკალურ კომედიას დაუახლოვა.

ქართველ კომპოზიტორთა შორის არიან ისეთები, რომლებმაც მთელი შესაძლებლობა საოპერეტო ენარს მოახმარა. ამ ენთუზიასტთა შორის ერთი პირველთაგანია შ. მილორაგა, ავტორი მრავალი ოპერებისა. მან დრამატურულ ლ. ჭუბაბრასთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობით ამ ენარის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მილორაგას საუკეთესო ოპერებებში (გსიმღერა თბილისზე“, „საყვარელი დის-შვილი“, „სასიძობები“) ყოველთვის იგრძნობოდა

სწრაფვა იმ ვოდევილური სტილის გადალახვაში, რომელიც ოპერებაში მუსიკას მხოლოდ ილუსტრაციის როლს ანიჭებს. მისი ოპერებების პარტიტურებში ტრადიციულ ფორმებთან — ლირიკულ პარტიტებთან და კომედიურ-ბუფონურ კულმებთან ერთად — უხვდაა შეტანილი ანსამბლები. აქ მუსიკა ნაწარმოების ორგანული ნაწილია და დამაჭირებლად ხსნის სახეებს.

დასის შევსება მეტწილად პირველი კურსის სტუდენტთა შემადგენლობიდან ხდება, რომლებიც სწავლის დასრულებამდე არ ეთიშებიან თეატრს. ასე მაგალითად, სახალხო თეატრში პირველ კურსიდანვე მუშაობენ სტუდენტები რომან ჩიჩუა, ჯონი ჰავეჯანიძე, ზეინაბ გონიაშვილი, მერაბ თავებრიძე და ჯემალ ქუთასაყალი. ასე მოხდა წელსაც. მიმდინარე სეზონში თეატრს შეემატნენ პირველკურსლები თენგიზ კობახიძე, თამაზ ჭიჭიძე და სხვები. ყოველდღიური მრუფველობით გარემოსილია სახალხო თეატრი ინსტიტუტის ხელმძღვანელობისაგან. კერძოდ განუზომელია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის გიორგი ტუბატაძის და პროფკომის თავმჯდომარის ასპირანტ ნიკო თეთრუაშვილის დაწარმება, რასაც სისხორცეულად გრძნობს სტუდენტთა თეატრი.

გასული სეზონი თეატრმა წარმატებით დაამთავრა. საკმარისია ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე თეატრმა პირველი ხარისხის მედალი მოიპოვა და მისი სპექტაკლი „ქვიცი“ ნაჩვენები იქნა მოსკოვში. მიღწევად ამ წარმატებამ თავებრიძე როდი დაახსა თეატრს. მიმდინარე სეზონიც საინტერესოდ დაიწყო. ამ სეზონის რეპერტუარში დასადგმელად შეტანილია კ. ბუაჩიძის „მეცერი ქალიშვილები“; ვეკა-ფშვევლას „მოკეეთილი“ და ა. დევიძის „ნატერფალი“.

კ. ბუაჩიძის „მეცერი ქალიშვილები“ სექტემბრის ბოლო რიცხვებში წარმოადგინა თეატრმა. იგი დაღვებულია ხელმძღვანელის — კ. მეგავინაძის შიერ. მხატვარია კ. ჰავეჯანიძე.

სწორი რეჟისორული ინტერპრეტაცია საინტერესოს ხდის სპექტაკლს. მორალური სიწინიდე და სიფაქიზე, ამხანაგისთვის თავდადება და მისი გატნა, თავისი ადგილის პოვნა ცხოვრებაში — აი, ის, რაც ქვაკეთხდათ უღვეს სპექტაკლს. ამ დღე არის შესანიშნავად ასხამს ხორცს მსახიობთა გონივრული თამაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ე. მახარაშვილზე, რომელიც მოწინავე სოფელ გოგონებს — ფსონიეროლს ასრულებს, და ილი ცხოვრების მოყვარულ და ბედის მამიებელ მუზა პლატონოვს როლის შემსრულებელ მ. ლორთქიფანიძეზე. ასეთივე ხასიათია ჯ. ჰავეჯანიძის ნაპოლეონ, რომელიც ცხოვრებაში დამინა და გზას აცდა, მაგრამ მეგობრების დახმარებით ისევ ჩადგა კალაპოტში.

რ. ჩიჩუა (ბურღლე), გ. თავებრიძე (ჯიმშერი), დ. მეგრელიშვილი (შოთა არევაძე), ზ. გონიაშვილი (მედიკი) და ბ. ფურცხვანიძე (თენგიზი) ქმნიან კეთილმოკლი სტუდენტთა სახეებს, მათ მიერ შექმნილ ცალკეულ ხასიათებში ბევრი რამ გონებაშახვედრია და ორიგინალური, შეიძლება ვიდათო ზოგიერთი ხასიათის ჩაცმულმა ზეზე, გრძიზე, თუ მუსიკალური ილუსტრაციებზე, მაგრამ ეს როდია მთავარი, მთავარი მაინც ის არის, რომ ამ საინტერესო სპექტაკლს ფართო მაყურებელი ჰყავს.

მუხანსბთა სახალხო თეატრი

ტყიბული მეშახტეთა დაბა და თავისი სიღამაზოსაკუთრობო ქალაქი გავიზნებთ. რა სისუფთავეა, რა სიღაჭიზნა! ასეთი სათავართო შენობა კი თვით დედაქალაქსაც დაამყვენება.

ეს სიტყვები ეკუთვნის სახელმწიფოს პრემიის ლაურეატს, აწ განსვენებულ მოსკოველ რეჟისორს ალექსანდრე ლონტის ძე შაპას, რომელიც ერთი წლის წინათ იყო ტყიბულში და სახალხო თეატრის რამოდენიმე სპექტაკლი ნახა.

მართლაც ტყიბულელები ამაყოზენ თავიანთი თეატრით. ამ თეატრმა მათ ბევრჯერ მოგვარა სიამოვნება. ვასულ სეზონში თეატრის ცხოვრებამ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ა. შენგელიას „ციმბირელი პაპის“ დადგმა, რომელიც რეჟისორმა შ. ვაწერელიამ განახორციელა. ეს სპექტაკლი მიმდღნა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. ეტიერი მას პირველი პრემია მიაკუთნდა. მიმდინარე სეზონში თეატრმა ორი სპექტაკლი დღვდა. ფოთის თეატრიდან მოწვეულმა რეჟისორმა ს. კალანდარიშვილმა განახორციელა მ. ბერიაშვილის „მეზდაცემული კაკალი“ და ...

თეატრის მესამე პრემიერა იყო ა. ევეშაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“. ამ სპექტაკლის დადგმელაა, ახალგაზრდა რეჟისორი მურმან ფურცხვანიძე, მხატვარია გ. ბერეჩიკიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კ. ევლენის.

„წმინდანები ჯოჯოხეთში“ წმინდანებად რჩებიან, — ასე შეიძლება პირობითად ვუწოდოთ იმ რე-



ქისორულ გადაწყვეტას, რომელიც სპექტაკლს მისკა მისმა დამდგმელმა მერმან ფურცხვანიძემ, რეჟისორს სათანადო კორექტივები შეუტანია პიესაში, დაუხვეწია და დაუკორექტებია ზოგიერთი რამ. ვფიქრობთ, რომ ამით სპექტაკლმა მოიგო. სპექტაკლი აქტიორულად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთნაირი თეატრი არ არის დაფუძნებული თავის როლს. სპექტაკლში განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. ქარჭიძის მათი, ე. კულიაძის ჭინდო და თ. რუსეთის ნადეჟდა ფიალკოვა. ცოცხალ და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან აგრეთვე რ. კორგოლიანი (სერგო) და გ. ტურბოლაძე (მირიანი).

სპექტაკლს ზოგიერთი ხარვეზი ახლავს (პირველ მოქმედებაში შენელებულია ტემაში, იგი ოდნავ დღეკა, გრძელია სიმდერა, ზოგჯერ სცოდავს სინათლის ეფექტებიც), მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი ზნადაცა დაიხვეწება. ეს სპექტაკლი საბჭოთა ადამიანების მაღალი ინტელექტუალური სიწმინდეზე შექმნილი პიესაა და იგი ამ თეატრის დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

პაპაი დავითი

ზნეხვედრა სენის ვებარანთა

მიმდინარე წლის 25 ნოემბერს, თბილისში, ხელოვნების მუშაობა სახლში მოიწყო გურჯაანის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის სოსო მიტრონიძის შეხვედრა თბილისის თეატრალურ საზოგადოებასთან, რაც მისი დაბადებიდან 80 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ. მიტრონიძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაითხა საზოგადოების უფროსმა კონსულტანტმა ნიკო კვიციანიძემ.

საღამოზე ს. მიტრონიძის გულბოლიად მიესალმნენ სპ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ანხ. მიხ. ლეჟანავილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. ნინიძე, ხელოვნების და მხატვრებულ მოღვაწეები — დ. ჯანელიძე, დ. ჩახიძე, გ. ბონჩიაშვილი, მიხ. ჩიჩინაშვილი, რუს. დამს. არტისტები: გ. არქშიძე, გ. იმერლიშვილი (გურჯაანის რაიონის სახალხო თეატრის მხატვრული მოღვაწეობის თავმჯდომარის მოადგილე).

ვასტანა ჩელთისპირების საღამო

28 მარტში, თბილისში, ხელოვნების მუშაობა სახლში, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაობა სახლის გამგეობამ მოაწყო თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასტანა ჩელთისპირების შემოქმედებითი საღამო. მისი დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მოხსენება ვასტანა ჩელთისპირების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაითხა თეატრმცოდნე ნ. მისხმა.

გ. ჩელთისპირელს გულბოლიად მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ვიძიაშვილი, შვეიცარიელი, გ. გოთუა, ხელ. დამს. მოღვაწეები: კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ზ. შვანიტაძე და გ. აბრამიშვილი, თეატრმცოდნე ნ. ქიქოძე და სხვ.

გულბოლი ვითარებებში

მიმდინარე წლის 30 ნოემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლიდან, გურჯაანის რაიონის ადმსკომის კულტურის განყოფილებასთან და ველისციხის სახალხო თეატრთან ერთად, მოაწყო ამავე ოცდობის მსახიობის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მარო მესხის შემოქმედებითი საღამო, მისი დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ველისციხის სახალხო თეატრის თავმჯდომარემ ი. მხარგრძელმა. თავის შესავალ სიტყვაში მან ილაპარაკა მ. მესხის იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მას ველისციხის თეატრში, ველისციხელების კულტურული მომსახურების საქმეში მიუძღვის.

შემდეგ მოხსენებთ: „მარო მესხის ცხოვრება და შემოქმედება“ — ვამოვიხსენებ მისი შემოქმედების რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგე, დრამატურგი თ. ფარაქაძე.

საღამოზე იუბილარს გულბოლიად მიესალმნენ — გ. იაქაშვილი (საქ.თეატრი, საზოგადოება), შ. ბასილაშვილი (გურჯაანის რაიონისა და რაიონის ადმსკომის სახელით), შვეიცარიელი მ. ბარათაშვილი, ნ. გომართელი (ხალხური შემოქმედების სახლი), აკ. დევიძე (პროფესორების მხატვრული თვითშემდეგების რესპ. სახლი), ს. ვარაზაშვილი (მასწავლებლები), გ. ოქროშიძე (გურჯაანის რაიონის კულტ. განყოფილება), დ. ზურაბაშვილი (ყურანლისტი), მ. დალაშვილი (თელავის თეატრი), გ. კობიაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თ. ოვანოვი (პროფესორული სასწავლებელი), ჯ. გოგოძე (გურჯაანის სახალხო თეატრი), ა. შოთაშვილი (კლემენტინეობის ბრიგადირი), ალ. ყაზაროვი და მამო მელქისიძე (ველისციხის სახალხო თეატრი) და სხვ. მთელი საღამო უაღრესად გულბოლიდ ვითარებაში ჩატარდა.

* * *

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა იუბილარს გაუგზავნა მისალმება, სადაც ვკითხულობთ: „ძვირფასო მარო! საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მოგვსალმებით და გილოცავთ დაბადების 60 და სასცენო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის საზეიმოდ დღეს.“

თქვენი შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო და გაიფურჩქნა ქართულ საბჭოთა თეატრში, რომელშიაც აგრეთვე 40 წელია ენერჯის დაუზოგავად მოღვაწეობთ. თქვენი შემოქმედებითი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქართული სახალხო თეატრების განვითარების საქმეში. მაღალმოსტატობის განსახიერებელი სენეორი სახეები მუდამ ხიბლავდით არა მარტო ველისციხელ მსურველებს, არამედ კახეთის მრავალი სოფლის მოსახლეობასაც, თქვენს მიერ განსახიერებელი სენეორი სახეები ყუვლდობის ხასიათდებთან აჭრის სიციხველით, დიდი განცდით, ჭეშმარიტი შთაგონებითა და სიმართლით“.

უპიკანონო ხელოვნები

პარტული ხალხური თვითომქმედების ამაგდარი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობი შალვა სპირიდონის ძე ფოცხვერაშვილი.

ეს თავმდაბალი და უპრეტენზიო ხელოვანი 40 წელია უნაგაროდ ემსახურება ქართულ სასცენო ხელოვნებას: მისი ბიოგრაფია საესტა შრომითა და კეთილშობილებით, თავისი საქმის დიდი სიყვარულით.

ჭიათურლებს დღესაც ასსოვთ პატარა შალვა, რომელმაც სპეციალურად გამოცხადებულ კონკურსზე „ქართულისა“ და „ბაღდადურის“ საუკეთესო შესრულებისათვის გაიმარჯვა და ჯილდოდ ოქროს ზარანაშიანი ხანჭალი მიიღო. ამ შემთხვევამ განაპირობა მისი შემოქმედებითი გზა. ფოცხვერაშვილმა თავისი ცხოვრება სცენის დაუკავშირა. 1925 წელს ჭიათურის კლუბის დრამატულ წრეში ჩაეწერა, სადაც წლების განმავლობაში ემზოდურ როლებს თამაშობდა და თვითონვე დგამდა მცირე ფორმის პიესებს. 1939 წელს ზესტაფონის სახელმწიფო თეატრში გადმოსდა და დოდალ ანთაძის ხელმძღვანელობით მსახიობად მუშაობას იწყებს, ხოლო 1962 წლიდან სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობია.

თავისი სასცენო მოღვაწეობის დაწყებიდან დღემდე შესრულებული აქვს ორასზე მეტი როლი: პატარა კახი, ვახუშტი („ნაიარქეკია“), ჩინთა („მოკვეთილი“), ბერდია („მშობლიურ მთებში“), ბარძიმი („ეპიპატარის ასული“), მოძღვარი („მოძღვარი“), გერასიმე („ახოვრების ჭარა“), ვარლამი („მეცდომა“) და მრავალი სხვა.

შალვა ფოცხვერაშვილს არა ერთხელ უსახელებია თავი საქართველოს თეატრების რესპუბლიკურ დათვლიერებაზე. მას მრავალი დიპლომი, სიგელი და მადლობა აქვს მიღებული, ეს კი მისი, როგორც მოღვაწის და მოქალაქის უძვირფასესი ჯილდოა.

ჩვენმა ხელისუფლებამ, ხალხმა ღირსეულად დაფასეს მისი შემოქმედება. შალვა ფოცხვერაშვილს კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კი ზესტაფონში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რიასაპკოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ საზეიმოდ აღნიშნა შალვა ფოცხვერაშვილის დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი.

იმედია ეს ღვაწლმოსილი და ენერგიით სავსე მსახიობი დიდხანს გააზარებს მაცურებელს.

ნენე გვიგათიანი

სამსახურებრივი პედაგოგიკა

1968-69 წლის თეატრალური სეზონის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ რესპუბლიკის თეატრებში მოახდინა შემდეგი გადაადგილება:

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი იოსების ძე აბრამიშვილი დაინიშნა თელავის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი შოთა ივანეს ძე ხაჯალია გადმოყვანილია ე. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრში მსახიობად.

რეჟისორები ნოდარ სერგოს ძე დვისიძე და სოლომონ ტარასის ძე ვიფშიძე დაინიშნენ ა. წერეთლის სახ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრში რეჟისორ-დამდგმელებად.

ანზორ კონსტანტინეს ძე ქუთათელაძე დაინიშნა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის თანამდებობაზე.

ლევან (რეზო) გერმანიის ძე მიტრუხულია დაინიშნა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორად.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რემ დავითის ძე შაფთოშვილი გადმოყვანილ იქნა შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგის თანამდებობაზე.

ილია შალვას ძე მაყსონაშვილი დაინიშნა კ. ხეთაგუროვის სახ. სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მთავარ რეჟისორად.

გურამ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი დაინიშნა მოზარდმაცურებელთა რუსული თეატრის რეჟისორ-დამდგმელებად.

ნოდარ ვახტანგის ძე სონათამიშვილი დაინიშნა გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრის რეჟისორ-დამდგმელებად.

ელგარ ოთარის ძე ევაძე დაინიშნა ა. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრში რეჟისორ-დამდგმელებად.

ღერი ვარლამის ძე პაქსაშვილი დაინიშნა ჭანბასის სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მთავარ რეჟისორად.

ირინე ალექსანდრეს ასული გოცირიძე დაინიშნა მოზარდმაცურებელთა რუსული თეატრის დირექტორად.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მიხეილ ივანეს ძე თუმანიშვილი დაინიშნა შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორად.

პ ე კ რ ე

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტიტი, სომხური სცენის ღირსეული ვეტერანი პაპარე. ვერ ვუროგებთ იმ აზრს, რომ მხიარული, ინაჰევიერი, ცოცხალი სურათების ორგანიზატორი, მოძრაობა კომიკური თეატრის ფუნქციონერი, იუმორის საუკეთესო მსტერი პაპარე აღარ არის ჩვენს რიგებში.

პაპარე (ძაიკ სედრატის ძე ბეტროსიანი) დაიბადა 1895 წლის 15 თებერვალს ნორ-ბაიანოვსში (ახლა — ქველსი კამო). სწავლა-ვანათლება მიიღო თბილისში, სერსისიანის სემინარიაში, უსწავლია აგრეთვე სამხატვრო აკადემიაში, სომხური დრამატული ამხანაგობის სტუდიაში. აქედან ეცნობა იგი სომხურ სცენას. მიუღია მონაწილეობა მურამკეოს და არაქსიანის თეატრებში გამართულ წარმოდგენებში (1911), ხოლო 1919 წელს იგი შედის სომხური არტიტილის ამხანაგობის წევრში, როგორც პროფესიონალი მსახიობი.

დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პაპარე მთელ თავის ნიჭს, შემოქმედებით ენერჯის უძღვრის სომხურ სცენას, ხდება ამ თეატრის ერთ-ერთი დღეობიძე. ცოტა ხანს იგი მუშაობდა ეწვევა აგრეთვე ბაქოს სომხურ თეატრში, ახლო ეცნობა სომხური სცენის კორიფეებს, ეუფლება მათ ხელსაწყოებს, იმსახურებს სიმები და ქართული მაცურებლის სიყვარულსა და პატივისცემას.

პაპარე სცენაზე მოღვაწეობასთან ერთად ლიტერატურულ-საზოგადოებრივ შრომასაც ეწეოდა. საზოგადოებრივ-ლიტერატურული მუშაობა პაპარეს მონაწილეობის ვატივე არა ტარებდნენ. კაპოვსა, მუშათა კოლექტივებში იგი დიდი ენთუზიაზმით მართავდა ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოებს. თავის აქტიორული მუშაობის განმავლობაში პაპარეს ორასზე მეტი სახე განხორციელებია, რომელთაგან მნიშვნელოვანია ნახარის („ვერდი ნახარი“), სტქო („ერთი ნაჭერი მიწისათვის“), გზირი ვასილი („გათიანი“), შუაჯა („უღდა-ნაშვალ დამაშავენი“), პერჩატიანი („სახესი ბავშვი“) და სხვა. მისთვის დიდი და პატივარაოლი არ არსებობდა, იგი ერთნაირი სიყვარულითა და გაცაცებით

ანზორციელებდა დიდსა და პატივარა როლს, მთელსულსა და გულსა სდებდა მათში.

პაპარე უნებარე მოშავი იყო თავისი ხელოვნებისა, თავყინდემული სომხური სცენისა და ეროვნული დამცველი და პრინციპალისტი სომხური ენისა, სცენადამცველი, როგორც მასობრივ სკოლადაც. ამბობდა იგი, უნდა გახსოვდეს სუფთა და უმწველო ლაპარაკი, და თითონ მეტიველი იყავა ამ პრინციპს, მისი სცენური მეტიველება სანიშნოში იყო. პაპარე, იმავე დროს, მწერალი, პოეტი იყო. იგი სამწველო ასპარეზზე გამოვიდა თავის თეატრალურ მოღვაწეობასთან ერთად. მისი პირველი ლექსთა კრებული გამოვიდა 1911 წელს. პაპარე აქტიური თანამშრომელი იყო ამიერკავკასიის სომხური პრესისა და რადიო გაცაცეებებისა.

მიუთხველად გულთბილად მიიღო მისი „სოფლის ძახილი“ (1925 წ.), „კომკავშირელი ვალო“, „პოემა აგე-ლარქენი“ და ლექსთა კრებულის „სამშობლო“ (1958 წ.). გარდა ამისა, გამოსცა შემეუარები, რომელიც მიძღვნილი იყო სომხური სცენის თვალსაჩინო მოღვაწეებისადმი, მის კალამს ეუფლებს იუანეს თუმანიანის მოტივებით შექმნილი საბავშვო პიესა — „ახანახან მეტი“, რომელიც სისტემატურად იღვამება თბილისის სტ. შუაშიანის სახელობის სომხური თეატრის სცენაზე.

დიდ ხანს მუშაობდა მოთხრობების კრებულოზე „თბილისის ბურუსში“, რომელიც მის შრომებში საუკეთესოთაგანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ უღმობელმა სივდილმა მათი დარჩულება არ აცალა.

მის მიერ დატოვებული ლიტერატურულ-თეატრალური მემკვიდრეობა ეკლავი უნდა იყოს თავის უნებარე მოწვევას. პაპარეს მემკვიდრეობა დიდ დამხარებას აღმოუჩენს თეატრმოდენ-ისტორიკოსს, რათა ყოველმხრივ შეისწავლოს თბილისის სომხური თეატრის წარსული.

პაპარეს ნათელი ხსენება მედამ დარჩება ჩვენს გულში.

კორიძე აზროინი, ივანე ღვთისმინი

ლი ლ ი კ რ ა ძ ე

თბიბარში ახალგაზრდა მსახიობად ვითვლებოდა. ერთ საღამოს შ. მილორაჯას ოპერეტას „სიღღერა თბილისზე“ ვუქცირდი. ინტერესით ვაკვირდებოდი ჩემი კოლეგების თამაშს, ჩემი ყურადღება მიქანდაცე ევა ლაიძის შემსრულებელმა ლ. კორძაძემ მიიპყრო. მისი ნეკა იყო სიციცხლით. სისხურეკით აღსავსე, მისი სცენური გარდასახვა უწყვეტ ჯაჭვად იმგებოდა ერთმანეთს ჩემს ცნობიერებაში და როცა სცენიდან გადიოდა, მაშინვე განაგრძობდა არსებობას. მე მახარებდა მისი წარმატება იმითაც, რომ თეატრალური ინსტიტუტის შემოქმედებით ტიპარში ერთად ეიზრდებოდნენ და დიდ სცენაზე ვასელისათვის ძალას ვიკრებდით. ლოა კორძაძე ვკეთვნოდა თეატრალური ინსტიტუტის კრისდამთავრებულ მსახიობთა იმ თაობას, რომელიც ამ 10 წლის წინათ მოვიდა მუსიკალური კომედიის თეატრში და თან მითატანა ახალგაზრდული შემატიება, ენთუზიაზმი, ოცნებები. იგი იყო ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ზედმიწევნით ყურადღებანი და საოცარი გულის მქონე.

ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მეჩხრზე იჯდა ლ. კორძაძე, როცა ქუთაისის შ. ბალანჩიშვილის სახელობის მუსიკალური ტექნიკუმის ვიკოლის ფელციტეტზეც სწავლობდა. იგი აქ შედარებითად და მოსწავლეობდაც ერთად გამოდიოდა ოპერეტაში და მთავარ პარტებს მღეროდა. განსაკუთრებით სრულყოფილად შესასრულა მაროს პარტა „დაისში“, ხოლო IV კურსის სტუდენტმა ქუთაისის პირველ მუსიკალურ ფელციტეტზე ვ. დოლოძის ოპერა „ჩეთო და კოტეში“ ქუთოს პარტიათ მიიპყრო ყურადღება.

შემდეგ ის სპექტაკლი თბილისშიც ვიხილეთ. მომღერალი კონსერვატორის პროფესორის-მასწავლებლის იძღუნდა მოეწონათ, რომ შესაიაჯეს მათთან განეგრძო

სწავლა. მართლაც, გამოცდები წარმატებით ჩააბარა, სასწავლებლად კი რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური კომედიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ჩვენი საზოგადოება ლ. კორძაძეს იცნობდა როგორც მუსიკალური თეატრის სპექტაკლების მთავარი პარტიების შემსრულებელს, პროფესიული თეატრში განსახიერებელი როლებიდან აღსანიშნავია ვიოლეტა (ო. კალმანის „მონბარტის ია“), მარჯორი (ფ. ლოუს „ჩემი შვენიერი ლედი“), მოლია (გ. ვაბაძის „ჩემი შეშლილი ძმა“), ჩანტა (ო. მიტავაძის „ჩანტიანი კაცენა“), ბრლისა (ნ. გიგინეაშვილის „სახლინობელი“), ევა (შ. მილორაჯას „სიღღერა თბილისზე“), მავა (ნ. ნასიძის „სტუდენტები“), მარიტა (ო. თევდორაძის „შევიკი მიღის ფრანგზე“), ვარსო (ლ. იაშვილის „შაბა-ჯანას ქოშინი“)... ამ სახეების ყარჯად გახსნა გავაფრებინებდა, რომ ახალგაზრდა მსახიობ ქალს ნათელი პერსპექტივები ესახებოდა შემოქმედების გზაზე.

განსაკუთრებით მინდა გამოვიყო ლ. კორძაძის ჩანტა და ლოტა, რომლებშიც ყველაზე მაკაფოდ აღვრდა მისი ზაერადღერანი ხმა. იგი არასოდეს არ ცდლობდა „ხოლოდ ანდერა“, ერთხელ მიღწეულს არ ვერდებოდა, მედამ ამრავალფეროვნებდა და ამღღერებდა სახეებს, რომლებსაც იგი კლასიკური ოპერეტის სტილის დახეწვა-დაუფუფუნებისად მიპყვავდა.

უდიდოდ წყვიდა ჩვენთან და თან წაიღო მრავალი თვითი და ოცნება მომავალზე. მას დარჩა განუფორცილებელი სურვილი, მუსიკალური პარტიების, მის მიერ ნიჭიერებით შესრულებული როლები კი მედამ ვაგაგახეხებს მას, როგორც ჩვენი რთული საქმის ცოცხალი მოღვაწე.

ამირან შალიაშვილი

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი

თეატრალური პორტრეტები

ბამმცხვამლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ ამ ცოტა ხნის წინათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ქართული თეატრმკვლელის იერი გუგუშვილის წიგნი „თეატრალური პორტრეტები“. წიგნი ათი თავისაგან შედგება და ქართული საბჭოთა სცენის ათ გამოჩენილ ისტატს იძლეობდა.

ვერვიორ ახვარიანი, ავაი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, ვასო გომიშვილი, სერგო ზაქარიანი, პიერ კობახიძე, სერგოთა თაყაიშვილი, ავაი ხორავა, თამარ ჭავჭავაძე და ვახტანგ ჭავჭავაძე — ეს ქართული საბჭოთა ხელოვნების მთელი ეპოქაა, მისი საფუძველი, ძალა და გაქანება. ე. გუგუშვილი ზუსტად განსაზღვრავს ქართული თეატრის ისტორიამ თითოეული მათგანის მნიშვნელობასა და როლს. ამასთანვე ტალღათა ამგვარ თანეარსკვლავდში მკვლევარი მკვლევარ გამოყოფს, ყოველი მათგანის პიროვნულ ნიშანთვისებებსა და განუყოფებელ შემოქმედებით ინდივიდუალობას.

ერთ ნაწილში მოქცეული ეს პორტრეტები თვალსაჩინო არტისტული შესრულებით გამოდრეგებულ ბრწყინვალე ანსამბლურ სპექტაკლს გვიყვანებს. საქვეყნოდ სახელგანთქმული მსახიობების პორტრეტების შექმნა ადვილი როლია. მსახიობის ხელოვნების შეფასებისას ბევრი რამ არის სუბიექტური და ამიტომ მკითხველი რომ გადმოიბიროს და შეეს თანამოაზრედ გაიხადოს, დიდი ისტატობაა საჭირო. ე. გუგუშვილს უფადად გაჩნდა საამისი უნარი, იგი მოქნიბნობდა მოვიითხრობს და შესანიშნავად გვიხატავს პორტრეტს.

პორტრეტების საეკეთესო ნაწილები პრიფესიული კეთილსინდისიერებითა და სრული გულშემაღვინებით არის შესრულებული.

ე. გუგუშვილი წერს მკაფიოდ, ლაღად, ნათლად. მისი თანობა ერთ მთლიან, უწყვეტ ემოციურ ნაკადად მოედინება. თეატრმკვლელე წინდები არ ქმნის ჩანარს, რომ შემდეგ მასში თავისი წარმოდგენით შექმნილი მსახიობის პორტრეტი ჩასვას, არამედ თანმიმდევრული თხრობით ხაზავს პორტრეტის კონტურებს, ერთ ფრაგლში აქცეულ და შეიღვე მისი სსსრულისათვის თავიდანვე მარჯვდ იყენებს სცენის მოკლედის ცხოვრებიდან ფრად. მნიშვნელოვან ამბავს, ამ მსახიობის საერთო დანახიათივას წაუძმღვარებს ხოლმე წონ.

საე, თანდათანობით, ავტორი გვიძიქლებს, ხელოვნების ისტატის, მხატვრული მოკლედისა და ფაქტების შეუჯღრღში აღმოჩნდნით ამ წინასწარ შევიარაღდ წიგნის ავტორის ატესტაციით, თანმიმდევრულად მივუახლოვდნით მსახიობის შემოქმედებას და გავივლით იგი. ასე მივდივართ კონკრეტული ამ ზოგადმდე, ზოგადიდან — კონკრეტულსაკენ — მივყვებით პორტრეტის კვლევის მეთოდს.

ათი პორტრეტი — ათი მსახიობის სახელი და ამდენივე ინდივიდუალობა, მარგამ რა სხვადასხვახანარადც უნდა იყოს ეს პორტრეტები შესრულებული მათში ბევრი რამ მინე არის საერთო, რასაც თვით ავტორის თვალთახედა იძლევა. აქ თავმოყრილია გუგუშვილის, როგორც თეატრმკვლელის „ხელწერისათვის“ დამახასიათებელი ყველა თვისება — თხრობის მანერა, თვით კვლევის პროცესი და შემოქმედების შეფასების ნიუანსირება. მსახიობის შემოქმედებაში ძირითადსა და მთავარს რომ მიავნოს, იგი რომ ცალკე გამოიყოს, ავტორი ხშირად იყენებს გვირგვინდებულ „უარიყოფის მეთოდს“, იგი ყველაფერს, რაც მოქცეული მომენტის ყოველმხრივ გასაშუქებლად არ გამოდგება, თანდათან იშორებს ყველაფერს — იქნება ეს მსახიობის თვისების ჩრდილოვანი მხარი თუ სხვა რამ. ამით მკითხველის ყურადღებებს ავიცილებულზე ამახვილებს. ამგვარად აზუსტებს იმ განსაკუთრებულ ტემპორამენტს, თავდაპირილობის მანერას და მხატვრული აზროვნების სპეციფიკას, რაც ამ თუ იმ მსახიობს გაჩნდა. ასე, შერჩევის გზით, გუგუშვილი ხსნის ტალანტის ბუნებას, როლის არსს, შესასწავ-

ლი მსახიობის გმირთა სულიერ მდგომარეობას. ასე „წმინდს“ კრიტიკოსი მისთვის მისაღებ ერთადერთ გზას, რომელსაც ჩვენც მივყავით, რომ ჩვენებდით სცენის ისტატის გულში, გამოვიცნოთ მისი ფიქრი, ამით საშუალება გვეძლევა წვაიყოფოთ მსახიობის შემოქმედებით ცხოვრების „გადამალული წიგნი“ და მის შთამბეჭდვად სურათებზე კარგა ხანს შევიჩიროთ ყურადღება.

ყველა პორტრეტში ავტორის გულსა და გონებასაც ვხედავთ. ე. გუგუშვილი არ მალავს თავის სიმპათიურ დამოკიდებულებას, თუმცა თხრობისას ობიექტურობისა და მიუდგომლობის შთაბეჭდილებას ახლავს. ავტორის სიმპათიები თუნდაც იმით მტკავნდება, რომ ზოგი პორტრეტი მეტი გმოციით დაუწერია. ზოგად მუტხავალბოთ თავიუკავებოთ, იქ, სადაც გრძნობა ჭარბობს, თეატრმკვლელე გაუბრბს მსახიობის ხარადნებზე საუბარს, მისი მხატვრული პრობლეკის სურტ მხარეებს. შემოქმედის ინდივიდუალობისათვის უცნობ სახეებს ჩქალავს, ისეთი შთაბეჭდილება გვჩვენება, რომ ავტორი არ ამწეივებს საკითხს, შემოქმედების ცალკეულ დღეშიველ მომენტებს გაერს უჯს. ასე გამოიყურება პიერ კობახიძის, ავაი ხორავას და იერიკო ახვარიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პორტრეტები.

ანალიზებს რა ხორავას შემოქმედებას, ავტორი საფუძვლიანდ მიმოიხილავს მის დიდ მსახიობურ გამოჩვენებას — ბერსინებს, ანხორს, კარლ მოროს, არსენას, ოტელოს და ივანე მირსხანეს, შემდეგ კი მხოლოდ როლიერ სიტყვით, ფაქტის კონსტატაციისათვის აღნიშნავს, რომ ხორავამ „შესაძროს ტრაგედია „მედიკოსი“ ლირი თამაშმა. ამ სახე მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ვერ დაიჭირა“. ეს არის და ს. როდესაც მსახიობს დიდ ტრაგეკოსს ყველად მონაცემი გაჩნდა, განა უბრალოდ ამბავდა, რომ მან ლირი ვერ თამაშა? ლირი ვერ თამაშა, ოტელო და ოდიპოსი კი ბრწყინვალედ? დღისისტატ მსახიობთან „უბრალოდ“ არავფერი არ ხდება, მისი დამარცხებულ ისევე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, როგორც გამარჯვება. ავტორს ამ საკითხის არსში უფრო ღრმად უნდა ჩაეხედა და ლირის ცუდად თამაშის მიზეზი აეხსნა, ამით ხორავას, როგორც მსახიობის, სახე მხოლოდ მოიგებდა.

აი მთორე მავალთივც: სავიყვლითად საქმილობა, როგორ უყვარს ვერიკო ახვარიანი ცნობიფულია და არა მარტო საქართველოში. ამ სიყვარულითაშუაქნის ავტორი ვერიკოს პორტრეტს, ეს მელავნდება მის ტონში, „დანიტერესებას“ და შეფასებაში. გუგუშვილი ვერ ურეიდება იმ ზოგერთ მკყარ შეზღულელებს, მსახიობს, ასე ვთქვათ, „ჩრდილს რომ აყენებს“. მავალითად, იგი ვეკათება ყველას, ვისაც მიახნია, რომ ანაფარიბის სტიქიაა — საზღვარგარეთელ დამაპყრებელ პიესების როლები, რომ ქართულ პიესების გმირ ქალებს იგი იშვილობს თამაშობს“. ე. გუგუშვილი მსახიობის „რეაბილიტრებას“ ცდილობს და მოყვანილი ციტატებს კვლავდავალ ასახელებს ქართულ რემპრეტურში ვერიკოს მთერ შესრულებულ რადიწინებ როლს — ანოს, მზოთვალას, მზეკინანს, მავალითად და გვიხსნის, თუ როგორ ანსახიერება ამ როლებს მსახიობი. მკვლევარი იყენებს ლამაზ ეპიტეტებს, მახვილგონიერად შეფასებებს, მისთვის დამახასიათებელ უბე შედარებებს, კონტრასტულ დამარისებობებს, სიყვარულით ნაძივდ მტრახიებს, მარგამ შეადარეთ ეს როლები ვერიკოს შედარებს — ივლითს, მარგარიტა გოტეის, ბებია უოუჩანს და სხვებს. თვით ე. გუგუშვილსაც ანაფარიბის შექმნილ სახეთავან „მსხვილი პლანიზ“ რომ გამოუყვია, და უნებლიეთ დარწმუნდებით, რომ თეატრმკვლედნთა შემოთმოყვანილი თვალსაზრისი უფადაა, პორტრეტის ავტორის ამ თვალსაზრისის გასაქარწყლებლად საბუთები არ ჰყოფნის და მისი მსკელობა ვერ გავაჩერებს.

რავი სიტყვა პორტრეტების ავტორის შემოქმედ-

ბით სიმპათიანე ჩამოვარდა, წიგნში აღძრულ რამდენიმე საკითხსაც ვერ ჩაეკვლით გულგრილად. წიგნის წინასიტყვაობაში, რომლის სათაურია „ქართული მსახიობის ხელოვნება“, ე. გუგუშვილი არცეცხს საერა-თოდ მსახიობის შრომის სპეციფიკას და ექობოდ — ქართველი მსახიობისას. ზნება რა მსახიობობა ხელოვნების ქართულ სკოლას, ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს კოტე მარჯანიშვილის რეფორმატორულ მოღვაწეობას, მის გამონათქვამებს, შეხედულებებს, მსახიობთან მუშაობის მეთოდს, მსახიობის ადგილს რეჟისორის შემოქმედებით მისწრაფებებში და ა. შ. წინასიტყვაობის ორ მესამედზე მეტი დროთმობილი აქვს ქ. მარჯანიშვილს. აქედან ძალაუნებურად კეთდება დასკვნა, რომ ავტორისათვის ძირითადი საჩივრისობო ხელოვნება მარჯანიშვილი იყვება და მარჯანიშვილი თითვე მთავრდება. თითქოს წიგნში წარმოდგინო მსახიობებთან მომუშავე სხვა რეჟისორებს მსახიობის შრომაზე არაფერი უთქვამთ, არ გაუძიღდებიან მის შემოქმედებას, შემოქმედებით ზრდაში არ დახმარებიათ. მაშ სცენის ეს ისტატები ქ. მარჯანიშვილის სიკვდილის შემდეგ როგორ მუშაობდნენ?... რა ნიშნებით მივიჩნით კოტე მარჯანიშვილი გახტანგ ქაბუციანის მასწავლებლად? ეს ცეკვის დანატრება ხომ ლენინგრაღის სახალუტო სკოლაში აღიზარდა? „თეატრალური პორტრეტები“ ამაზე მასუბით არ არის გაცემული.

ამდგარაივე მიეკრძებულ განსკით შეიძლება ავსნათ ე. გუგუშვილის განცხადება წიგნის 158 გვერდზე: „1926 წელს მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრთან წაიდა ისე, რომ საბოლოოდ განსახლებორა მისი მხატვრული იერ-სახე, როგორც მაღალი პერსონაჟი მანკრატული თეატრისა, როგორც რეალისტური და ღრმად თანამედროვე თეატრისა (ხაზგასმა ჩემია — ე. გ.). მარჯანიშვილის ტრადიციები, კულტურაში რომელსაც რომ გაიდა ფეხები, შემდგომ წლებში გაავრცელა მგსმა მოწვევებ სანდრო ამბეტიკოვს“.

აი რატომ არ განხარამდომე სხვა რეჟისორი წიგნის წინასიტყვაობაში მოხსენიებს ღირსი, მაშასადამე, 1926 წლის შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრში და 1933 წლის შემდეგ ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში არავითარი ახალი და ამდენად არავითარი მნიშვნელოვანი რამ არ უნდა მომხდარიყო. ორივე თეატრის გზა ერთიდაი და სამუდამოდ იყო დადგენილი და მათ სხვა არავითარი დაჩრდილოდ, რომ ამ გზას გაჰყოლოდნენ. ასე ხომ შევიძინო პირველი თეატრის არსებობა მისი დაარსების მეთოზე წიგნის გაწვევით, მეორე თეატრისა — მეხუთე წელიწადს? თუ ამ წიგნის ავტორის თვალსაზრისზე დაედგებით, უნდა ვირწმუნოთ, რომ შემოქმედებობათ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის არავითარი განსხვავება არ იყო და ოცდაათიანი წლების როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთული პირის ძალიან სცდებოდა, როცა მიესალმებოდა ორ საინტერესო ქართულ ეროვნულ თეატრს, მხატვრული იერ-სახით, შემოქმედების ესთეტიკური ნორმებით და მსახიობობა ხელოვნების მიმართულებით განსხვავებული.

ყველაფერი რომ ასე იყოს, მაშინ ხომ საბჭოთა ქართული თეატრის ისტორია მოსაწყენი და ერთფეროვანი იქნებოდა, მას არ ეყოლებოდა თეოთმყოფად რეჟისორების დიდი ჯგუფი, რომლებმაც შექმნეს და გამოძიერეს ამდენი აქტიორული შედეგო, ის დიდი მიღწევები, რომელთა შესახებაც ასე გატაცებოთ, ასე გულმოდგინედ და საქმის ღრმა ცოდნით წერს თეატრალური პორტრეტების ავტორი. ამგვარი ნაკლი მით უფრო სამწუხარია, რომ ეთერი გუგუშვილის წინასიტყვაობითგანა თეატრმოდენობის პორტრეტულ ჟანრში.

თეატრი ბალუსტოვა

თეატრალური ქალენდარი

1969 წლის

მნიშვნელოვანი თარიღები

- 4 იანვარი — 1894 წელს დაიბადა თამარ ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილი, სსრპ ხელ. დამს. მოღ. (75 წელი დაბადებია).
- 13 იანვარი — 1894 წელს დაიბადა იროდიონ კალენიკის ძე ქობია — მწერალი, დრამატურგი (75 წელი დაბადებია).
- 14 იანვარი — ქართული თეატრის დღე.
- 14 იანვარი — 1909 წელს დაიბადა სოლომონ ბაკრატიის ძე ვიხსლამძე, სსრპ სახ. მხატვარი (60 წელი დაბადებია).
- 29 იანვარი — 1894 წელს დაიბადა დავით ლავრენტის ძე ჯავრიშვილი, სსრპ სახ. არტ. (75 წელი დაბადებია).
- 30 იანვარი — 1919 წელს გარდაიცვალა ვილერიან ირაკლის ძე შალივაშვილი (50 წელი გარდაცვალებიდან) დაიბადა 1874 წელს (95 წელი დაბადებია).
- 2 თებერვალი — 1899 წელს დაიბადა ვასილ კონსტანტინის ძე ლიტვინენკო, ბალეტის მსახიობი, სსრპ დამს. არტ. (70 წელი დაბადებია).
- 5 თებერვალი — 1919 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში პირველად დაიდგა დ. არაყიშვილის ოპერა „შქმულებათა შოთა რუსთაველი“ (50 წელი დაბადებია).
- 7 თებერვალი — 1909 წელს დაიბადა სერგო სოლომონის ძე ქობულაძე, სსრპ სახ. მხატვარი (60 წელი დაბადებია).
- 8 თებერვალი — 1854 წელს დაიბადა ივანე მაჩაბელი (115 წელი დაბადებია).
- 15 თებერვალი — 1859 წელს დაიბადა ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა, 110 წელი დაბადებია (გარდაიცვალა 1910 წელს).
- 17 თებერვალი — 1929 წელს გაიმართა სოხუმის აფხაზური პროფესიული თეატრის პირველი სპექტაკლი. — დ. დასარსიას „ყურ წარსულში“. (40 წელი თეატრის დაარსებია).
- 21 თებერვალი — 1919 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (50 წელი დადგებიდან).
- 26 თებერვალი — 1899 წელს დაიბადა ლევან დიმიტრის ძე ცესკია, სსრპ სახ. არტ. (70 წელი დაბადებია).
- 5 მარტი — 1919 წელს დაიბადა არჩილ ივანეს ძე ჩიმაძე, სსრპ ხელ. დამს. მოღ. (50 წელი დაბადებია).
- 6 მარტი — 1889 წელს დაიბადა ეკატერინე (ცაცა) გიორგის ასული ამირჯანი, სსრპ სახ. არტ. (80 წელი დაბადებია).
- 10 მარტი — 1909 წელს დაიბადა ვახტანგ მოსეს ძე არეშიძე, სსრპ დამს. არტ. (60 წელი დაბადებია).
- 15 მარტი — 1849 წელს დაიბადა კონსტანტინე დიმიტრის ძე ყუფიანი (120 წელი დაბადებია).



- 15 მარტი — 1959 წელს გარდაიცვალა შალვა ნიკოლოზის ძე დადიანი, სსსრ სახ. არტ. (10 წელი გარდაცვალებიდან). დაბადა 1874 წლის 21 მაისს, (95 წელი დაბადებიდან).
- 18 მარტი — 1894 წელს დაიბადა ილია ილიას ძე არბატივი, ბალეტმეისტერი (75 წელი დაბადებიდან).
- 19 მარტი — 1909 წელს დაიბადა კონსტანტინე დავითის ძე დაუშვილი, სსსრ სახ. არტისტი (60 წელი დაბადებიდან).
- 20 მარტი — 1909 წელს დაიბადა გიორგი კონსტანტინეს ძე მრავლაძე, სსსრ ხელ. დამს. მოღ. (60 წელი დაბადებიდან).
- 26 მარტი — 1909 წელს დაიბადა ვლადიმერ გიორგის ძე კურტილი, კომპოზიტორი (60 წელი დაბადებიდან).
- 27 მარტი — 1889 წელს დაიბადა ბორის ალექსის ძე გალავეცი, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (80 წელი დაბადებიდან).
- 27 მარტი — თეატრის სერთაშორისი დღე.
- 30 მარტი — 1909 წელს დაიბადა მარიაჲ ათანასეს ასული ხაჩიკიძე, სსსრ დამს. არტ. (50 წელი დაბადებიდან).
- 1 აპრილი — 1939 წელს გარდაიცვალა ია (ილია) გიორგის ძე კარგარეთელი, კომპოზიტორი (30 წელი გარდაცვალებიდან).
- 11 აპრილი — დაიბადა გიორგი სერგის ძე ახიჭაშვილი, სსსრ დამს. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 18 აპრილი — 1959 წელს ტრადიციულ დაიღუბა გიორგი ვლადიმერის ძე შაველიძე, სსსრ სახ. არტ. (10 წელი დაღუპვიდან).
- 24 აპრილი — 1889 წელს დაიბადა იოსებ გრიგოლის ძე გრიშაშვილი, სსსრ სახალხო პოეტი, აკადემიკოსი (80 წელი დაბადებიდან).
- 7 მაისი — 1919 წელს დაიბადა ნინოჲ კარლო ვიქტორის ძე, სსსრ დამს. მხატვარი, (50 წელი დაბადებიდან).
- 18 მაისი — 1879 წელს დაიბადა ივანე პეტრის ძე სარაშვილი, სსსრ სახ. არტ. (90 წელი დაბადებიდან). გარდაიცვალა 1924 წლის 11 ნოემბერს (45 წელი გარდაცვალებიდან).
- 19 მაისი — 1919 წელს დაიბადა ხასან შუქრის ძე შიქელიძე, სსსრ დამს. არტ. (50 წელი დაბადებიდან).
- 24 მაისი — 1899 წელს დაიბადა სერგო ივანეს ძე აშალოშვილი, 70 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1937 წელს).
- 29 მაისი — 1909 წელს დაიბადა მარიამ ბენიამინის ასული ბაუერი, სსსრ სახ. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 7 ივნისი — 1909 წელს დაიბადა ვანით ალექსანდრეს ძე დარასელი, დრამატურგი (60 წელი დაბადებიდან, გარდაიცვალა 1954 წ.).
- 12 ივნისი — 1939 წელს გარდაიცვალა სანდრო გრიგოლის ძე კავსაძე, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (30 წელი გარდაცვალებიდან).
- 1 ივლისი — 1909 წელს დაიბადა სერგო ალექსის ძე ზაქარაიძე, სსრ სახ. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 2 ივლისი — 1919 წელს დაიბადა ვახტანგ ლევანის ძე ფალიაშვილი, სსსრ სახ. არტ. (50 წელი დაბადებიდან).
- 8 ივლისი — 1919 წელს დაიბადა ალექსანდრე ვასილის ძე შავერვაშვილი, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (50 წელი დაბადებიდან).
- 22 ივლისი — 1889 წელს დაიბადა ვალერიან ვლადიმერის ძე სიღამონ-ერისთავი, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (80 წელი დაბადებიდან).
- 28 ივლისი — 1949 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე გოცირიძე, სსსრ ხელ. დამს. არტ. (20 წელი გარდაცვალებიდან).
- 1 აგვისტო — 1899 წელს დაიბადა შალვა ქუჩუროვსკის ძე დამბაშვილი, სსსრ სახ. არტ. (70 წელი დაბადებიდან).
- 6 აგვისტო — 1899 წელს დაიბადა აკაკი ალექსის ძე ვასაძე, სსრ სახ. არტ. (70 წელი დაბადებიდან).
- 20 აგვისტო — 1899 წელს დაიბადა დავით ნესტორის ძე კავსაძე, მხატვარი (80 წელი დაბადებიდან).
- 26 აგვისტო — 1909 წელს დაიბადა გიორგი ნიკოლოზის ძე დეიხაძე, სსსრ დამს. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 29 აგვისტო — 1899 წელს დაიბადა ემანუელ ელის ძე აფხაიძე, სსსრ სახ. არტ. (70 წელი დაბადებიდან).
- 1 სექტემბერი — 1939 წელს დაარსდა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი (30 წელი დაარსებიდან).
- 11 სექტემბერი — 1909 წელს დაიბადა ვანო (ირაკლი) კონსტანტინეს ძე ზაგრაძიანი, სსსრ სახ. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 15 სექტემბერი — 1909 წელს დაიბადა ნიკოლოზ ვარლამის ძე შიქაშვიდი, სსსრ დამს. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 28 სექტემბერი — 1909 წელს დაიბადა რობერტ გიორგის ძე ქაიხველიშვილი, სსსრ დამს. არტ. (60 წელი დაბადებიდან).
- 29 სექტემბერი — 1939 წელს გარდაიცვალა რომანოზ სერგის ძე გამახაჭურდია, ქართული ცირკის მოღვაწე. სსსრ დამს. არტ. (30 წელი გარდაცვალებიდან).
- 1 ოქტომბერი — 1919 წელს დაიბადა ივანე გიორგის ძე ოსაძე, სსსრ დამს. არტ. (50 წელი დაბადებიდან).
- 21 ოქტომბერი — 1899 წელს დაიბადა ივანე რაფიელის ძე გოციელი, სსსრ სახ. არტ. (70 წელი დაბადებიდან).
- 28 ოქტომბერი — 1909 წელს გარდაიცვალა იოსებ ივანეჲ (50 წელი გარდაცვალებიდან).
- 18 ნოემბერი — 1889 წელს დაიბადა დედოფ (დავით) ყარაამინის ძე ძნელაძე, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (80 წელი დაბადებიდან).
- 8 დეკემბერი — 1919 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ პაატას ძე სულხანიშვილი, კომპოზიტორი (50 წელი გარდაცვალებიდან).
- 3 დეკემბერი — 1899 წელს დაიბადა დიმიტრი ნიკოლოზის ძე შვედოვი, სსსრ ხელ. დამს. მოღვ. (70 წელი დაბადებიდან).
- 11 დეკემბერი — 1919 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში პირველად დაიდგა ვ. დოლიძის „ქეთი და კოტი“ (50 წელი დადგმად).
- 21 დეკემბერი — 1939 წელს გარდაიცვალა დრამატურგი იოსებ კონსტანტინეს ძე გიდევაწიშვილი (30 წელი გარდაცვალებიდან). — 1769 წელს (თეი არ არის დადგენილი) დაიბადა გიორგი იოანეს ძე ავალიშვილი, მწერალი, ქართული თეატრის მოღვაწე. 200 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1850 წ.).

რ ე ღ ა მ ე ი ს ი ა ვ ა ნ : თეატრალური კალენდარი, რომელსაც აქ ვამეყენებთ, შეადგინა საქართველოს თეატრალური მუზეუმის სწავლულმა მდივანმა ქეთი ენ-ჯანა ხახიკიძემ.

შ ი ნ ა პ რ ს ი

საქართველოს თეატრები ემზადებიან	3
ჩვენი ანკეტა	4
ნინო შეანგირაძე — უნივერსიტეტი თეატრის გამაქვლევით	5
მაყურებელთა კონფერენცია ცხინვალში	6
მიხეილ გიციშვილი — მტერი თუ მოყვარე?	7
შეხვედრა ქართულ მეცნიერებთან	8
მირა ფიჩხაძე — ხალისიანი ჟანრი	9
ლალი ყურულაშვილი — პირველი ქართული წარმოდგენები ბაქოში	12
დისპუტი თეატრში	13
ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამოები რესპუბლიკის გარეთ	14

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ბავლე ხმალი — პატრიოტული დრამა	15
ნუნუ მესხი — „სიმღერა ტყეში“	17
ნაზი ელიაშვილი — „ღუელი“	17
გ. იაკაშვილი, გ. ბათიაშვილი — ფოთის თეატრში	18
ერეშია ქარელიშვილი — „შიწაში დამარხული სხივები“	20
როცა მაყურებელს უყვარს	21
კ. გოგიაშვილი — საახალწლო მილოცვა (ლეკსი)	21

ღვაწლმოსილთა გახსენება

დავით ჩხეიძე — უშანგის მახლობლად	22
თინა ტაბიძე — კონსტანტინე ანდრონიკაშვილი	24
მსახიობის საფლავთან	24
ნიკოლოზ კეკელიშვილი — ერთი შტრიხი მსახიობის შემოქმედებისა	26
მხატვრის ხსოვნის შესახებ	25
„ანტიგონეს“ განხილვა	26

რესპუბლიკის სახალხო თეატრებში

აკაკი დევიძე — მიმდინარე სეზონში	28
შეხვედრა სცენის ვეტერანებთან	28
ვახტანგ ჩელთისპირელის საღამო	28
ნუნუ გომართელი — უპრეტენზიო ხელოვანი	29
სამსახურებრივი გადაადგილება	29

გამოთხოვება

კ. აზროიანი, ივ. დავითიანი — პაპარე	30
ამირან შალვაშვილი — ლია კორძაძე	30

თეატრალური წიგნის თარო

ეთერი გალუსტოვა — თეატრალური პორტრეტები	31
თეატრალური კალენდარი	32

СО Д Е Р Ж А Н И Е

Театры Грузии готовятся	3
Наша анкета	4
Нино Швангирадзе — Университет-путеводитель театра	5
Конференция зрителей в Цхинвали	6
М. Гишимкрели — Друг или недруг?	7
Встреча с грузинскими учеными	8
Мира Пичхадзе — Веселый жанр	9
Лали Курулашвили — Первые грузинские спектакли в Баку	12
Диспут в театре	13
Творческие вечера Верико Анджапаридзе вне республики	14

У театральной афиши республики

Павел Хмаладзе — Патриотическая драма	15
Нуну Месхи — «Песня в лесу»	17
Нази Элпашвили — «Дуэль»	17
Г. Якашвили, Г. Батнашвили — В потийском театре	18
Еремия Карелишвили — «Погребенные лучи»	20
Когда зритель любит	21
К. Гогиашвили — Новое поздравление (стихотворение)	21

Вспомним заслуженных

Давид Чхеидзе — Вблизи Ушанги	22
Тина Табидзе — Константин Андроникашвили	24
У могилы актера	24
Н. Кевлишвили — Один штрих творчества актера	26
Память о художнике	26
Обсуждение «Антигоны»	26

В народных театрах республики


Ак. Девидзе — В текущем сезоне	28
Встреча с ветеранами сцены	28
Вечер Вахтанга Челтиспирели	28
Нуну Гомартели — Творческий работник без претензий	29
Служебные перемещения	29

Прощание

К. Азроян, И. Давитян — Пахаре	30
Ам. Шаликашвили — Лия Кордзадзе	30

Театральная книжная полка

Этери Галустова — Театральные портреты	31
Театральный календарь	32



Т О Г
В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1968

№ 4 (46)

ფასი 18 კაპ.
Цена 18 коп.

გადაეცა წარმოებას 26/XII 1968 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/I 1969 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,5

შ. 4485

უე 07029

ტ. 350